

შვიტანი ტაზი შინი
და შვიტნოზ სამყაროს

„შესხმად
ქართველოთად და
ქართველოთა ენისად“

იოვანე-ზოსიმე

ნაზი სანიაშვილი

2010 წ.

UDC(უკ)821.353.1-52+811.353.1.09+39(=353.1)
ხ-227

ავტორისგან

ახ.წ. X ს. იოვანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი წინასწარ-
მეტყველება „შმსხმაჲ ძართველთაჲ და ძართველთა ენისაჲ“
XX ს-ის ქართული საზოგადოების მსჯელობის უმნიშვნელოვანეს
საკითხად იქცა.

„ქებაჲ“-ს ტექსტზე მუშაობისას ძირითადი ამოსავალი წერტილი
არის ქართული მითოლოგია და უძველესი ქართული ტრადიციები;
ჩემი მსჯელობა ასევე ეფუძნება შუამდინარეთის, ჩინეთის, ეგვიპ-
ტის და მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოლოგიას.

გთავაზობთ ჩემს გამოკვლევებს „ქებაჲ“-ს ხელნაწერთან დაკავ-
შირებით.

ნაზი ხანიაშვილი

ISBN978-9941-0-2591-4

ცოტა რამ ჩემს უმსახუბ

თითქმის 25 წელია ვეწევი მოღვაწეობას ექსტრასენსორულ საკითხებში. ჩემი დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდები დამყარებულია ძირითადად არა მხოლოდ ბიოენერჯიაზე, არამედ ინფორმაციის მიღებასა და გადაცემაზე. ვღებულობ მორზეს ანბანის მსგავს იმპულსებს, რომელიც ინფორმაციის მატარებელია და ჩემს გონებრივ „აპარატში“ გადამუშავდება ინფორმაციის სახით. შევეჩვიე მიმეღო ინფორმაცია ადამიანის ორგანიზმიდან, როგორც მიკროკოსმიდან, რასაც მოჰყვა ინფორმაციის მიღება მაკროკოსმიდან. ვმკურნალობ ჩვეულებრივი სასმელი წყლით.

მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ხილვები. **ცოცხლად ვხედავ ქართული ასო-ნიშნების უმსახუბის კონსტიტუციას.**

განსაკუთრებით მინდა ავლნიშნო ჩემი ორი ხილვა, რომელთაც 1987-90 წლებში ჰქონდათ ადგილი.

ხილვა პირველი: სამსახურში შესვენების დროს ჩემს კაბინეტში ვისვენებდი. უცებ ისეთი შეგრძობა დამეუფლა, რომ იმ წუთში ცაზე უნდა მეხილა რაღაც, რაც მომცემდა მნიშვნელოვან ინფორმაციას. ცა იყო ნათელი, მზიანი, მშვიდი, აქა იქ პაწია ღრუბლებით. გავოცდი, როდესაც ღრუბლები დაიძრა, შეგროვდა ჩემი მზერის არეში, თან ბრუნავდა. როცა გამოსახულება გაჩერდა, თვალებს არ ვუჯერებდი, ეს იყო ჩემი პროფილი, მხრები და თავი სახით მარცხნივ. შემდეგ თითქოს შიგნიდან გამოვიდაო, მარცხენა საფეთქელთან თმაზე გამოჩნდა პატარა **მზა**, რომლის სხივები ისეთი ძლიერი იყო, რომ ამ მზიან ამინდში თვალის მომჭრელად აფრქვევდა სხივებს. ეს გამოსახულება რამოდენიმე წუთს გაგრძელდა. შემდეგ ბრუნვა დაიწყო. მოძრაობა რომ დაასრულა, თეთრწვერიანი მამაკაცის სახე მიიღო, ოდნავ აწეული თავით ცისკენ იცქირებოდა, საიდანაც ღრუბლებიდან წარმოქმნილი თეთრი ცხენი გამოჩნდა და თეთრწვერა მამაკაცის

ახლოს გაჩერდა. საბოლოოდ ჩამომიყალიბდა აზრი, რომ მე ერთარსება ვიხილე, თავისა და მხრების მარცხენა მხარე ჩემი გამოსახულება იყო, ხოლო მარჯვენა მხარე თეთრ-წვერიანი მამაკაცისა, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი.

ხილვა მეორე: ეს მოხდა გამთენიისას, რაღაც ძალიან გამომადვილა. ვხედავ ვიმყოფები ძალიან მაღალ ტაძარში მარტოდმარტო. ვხედავ ტაძრის ქათქათა თეთრ კედლებს და მასზე დაწერილ ქართულ ანბანს. შიშით არ მეშინია. გაკვირვებული და გაფართოვებული თვალებით ვათვალიერებ ტაძარს. ვერ გამიგია რა ხდება. ამ დროს ზურგიდან მიახლოვდება ღრმად მოხუცებული კაცი, სწორი ჩამოშვებული თეთრი თმითა და წვერით (სწორედ ისეთი, რომელიც თითქმის 10 წლის შემდეგ ვნახე შუმერების ქვის ბეჭედზე – IV მამაკაცი). აცვია თეთრი სამოსი. ხელში კვერთხი უპყრია. მაძლევს კვერთხს, მახედებს თეთრ კედლებზე გამოსახული ქართული ანბანისკენ და მეუბნება: „**ანბანს უნდა ბაბარეპთ, უნდა უნდა უპატრონო**“. რამოდენიმე წამში ჩემი ხილვა დასრულდა.

ორივე ხილვა ძალიან ძლიერი და დამაფიქრებელი იყო. მათი ახსნა მაშინვე არ შემეძლო, მაგრამ ვხვდებოდი, რომ პასუხს მომავალი გამცემდა.

ჩემს ოჯახში გადაღებულ ფოტოსურათებზე აისახება თვალისთვის უხილავი დიდი მანათობელი დისკო, რომლის მსგავსი უძველეს ხალხთა არქეოლოგიურ ძეგლებსა და ფარაონთა სამარხების კედლებზეა გამოსახული, როგორც საყოველთაო ღმერთის სიმბოლო. ამასთანავე, მინდა ავღნიშნო, რომ ანბანთან დაკავშირებით და საერთოდ, ჩემი ინფორმაციის წყარო ძირითადად ეს მანათობელი დისკოა.

ვარ ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, დაბადებული ცხვრის წელს, ზოდიაქო-მორიელი. გამოქვეყნებული მაქვს საკმაოდ ბევრი სტატია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს, რათა შეგექმნათ წარმოდგენა ჩემს აზროვნებაზე:

1. **„მეშვიდე ცა“.** მოყვანილია და გაანალიზებული VII ცის აღქმა მსოფლიოს რამოდენიმე ისტორიულ ძეგლზე, მათ შორის საქართველოშიც, რასაც საფუძვლად დაედო ჩემი ხილვა VII ცისა. იგი წარსულში არის „ზ“-„ზენ“-7 ასონიშნის შესაბამისი წრებრუნვის სურათი და ამავე დროს არის ჩვენი – მესამე ათასწლეულის არსთა წრებრუნვის მარადიული კოსმიური პროცესის ამსახველი, შეესაბამება ქართული ანბანის 36-„პ“-„ჰაჲ“-9000 ასონიშანს, გაგრძელება 1000 წელი.

2. რამოდენიმეჯერ მქონდა წმიდა გიორგის ხატის გამოცხადება ერთიანი წრებრუნვის კოსმიური სურათის სახით. იგი ემთხვევა 15 წლის გიორგის (აწ. გარდაღვლილი) გამოცხადებას; ჩვენი ხილვები შეჯერებული იქნა და ამ საკითხს ცალკე სტატია მივუძღვენი.

3. **„შარაგასის სტელას საიდუმლო“.** (ძვ.წ. I-III ს.). სტატია ეხება შარაგასის სტელას ზედა ნაწილში გამოსახულებას, რომელიც ჩემი აზრით არის ქართული ასომთავრული ანბანის „S“ და „ს“ ასონიშნები, იგივე განლაგებით გამოსახულია საპოტეკთა ღმერთის გამოსახულებაზე, რომელიც ინახება მეხიკოს მუზეუმში.

4. **„დავათის სტელას“** შესახებ გამოვაქვეყნე სამი სტატია. მასზე გამოსახული ქართული ასომთავრული ანბანი განლაგებულია 6 ხაზზე. ჩემი თვალთა და გონითი ხედვით იგი დასტურია იმისა, რომ ჩინეთის ლაო-ძის „იძინის“- „დაო“-ს (გზა ერთიანი ღმერთისკენ) ფილოსოფია სამყაროს შესახებ არც ქართველთათვის იყო უცხო. ჩვენი წინაპრები სამყაროს ქმედებას არა მხოლოდ ექვსი სახით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განლაგებდნენ გარკვეულ ასონიშნებს და მათ გარკვეულ რაოდენობას. ამას არა მარტო ქართველებსთვის, არამედ მთლიანად სამყაროსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ადრე სოფ. დავათს დაოთი ერქვა. აქვეა სოფ. ზემო ჩინთი, ქვემო ჩინთი. მოვახდინე დავათის სტელას ხატწერითი ანალიზი ძველი შუმერის,

ეგვიპტის და სხვათა ისტორიული, მითოლოგიური და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე. მიმანია, რომ იგი არის უძველესი წარმართობის ძვ.წ.VII საუკუნის ძეგლი (6000 – 5320 = 680) ეს პერიოდი ემთხვევა ჩინეთის ლაო-ძის მოღვაწეობის პერიოდს. საინტერესოა, სად წავიდა დასავლეთში ლაო-ძი?

5. ვინ არის „მიჯაჭვეული ამირანი“. მიჯაჭვეული ამირანის თემასთანაა დაკავშირებული აგრეთვე სტატია „ვინ იბადება საქართველოში“ – საღვადორ დალის სურათის „გეოპოლიტიკოსის“ მიხედვით. ჩემი ხილვებისა და მითოლოგიის საფუძველზე წარმოვაჩინე, თუ ვინ არის „მიჯაჭვეული ამირანი“.

6. „შეუცნობადი სამყაროს წახნაგები“. ამ სტატიაში წარმოჩინებულია, თუ როგორ აისახებოდა ადამიანის აზროვნებაში „ინ“ და „იან“ უძველესი დროიდან და როგორი სახითაა გადმოცემული იგი ისტორიულ ძეგლებზე, ფერწერულ ტილოებზე.

7. „შუმერების სასწაულებრივი წინასწარმეტყველება“
ეხება ჩემს ორ მნიშვნელოვან ხილვას, ფოტოებზე დაფიქსირებულ მანათობელ დისკოებს, ლონდონის მუზეუმში დაცულ შუმერების ქვის ბეჭედს ქართულ ანბანთან მიმართებაში. მიმანია, რომ მასზე წარმოჩინებულია უდიდესი წინასწარმეტყველება.

8. „ქართული ანბანი ტაროს არკანები და შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონებია“. მსოფლიოსთვის ცნობილია ტაროს არკანების ფილოსოფიური აზროვნება ანბანის შესახებ. ეს არის ურთიერთკავშირი ღმერთსა, ადამიანსა და სამყაროს შორის. სადაც აღწერილია თითოეული ასო-ნიშნის ცოცხალი კოსმიური სურათი, მათი ფილოსოფიური ანალიზი, ეს არის ხილული და უხილავი სამყაროს ერთიანი ქმედება, გენეტიკური კოდირებული გზა. მსოფლიოში არსებულ ანბანთა შორის მხოლოდ ქართული ანბანი ერგება ტაროს არკანთა სისტემას სრულყოფილად.

ამავე სტატიაში გავანალიზე შუემერების ქალღმერთ ინანას ჩასვლა ქვესკნელის სამეფოში. მას თან მიაქვს „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომლებიც შუემერული ფილოსოფოსების აზრით „შექმნის დღიდან განაგებდნენ და აწესრიგებდნენ სამყაროს მუდმივ მიმოქცევას“. ისინი ამავე დროს არის „ცივილიზაციის ატრიბუტები“, „ბედისწერის დაფები“ და ქართული ასომთავრული ანბანი. იგი არის ქალღმერთ ინანას გენეტიკური კოდირებული გზა ცივილიზაციისა, რისი გავლის შემდეგაც ის ხდება როგორც დედოფალი ცისა, ასევე დედოფალი მიწისა. ტაროს არქანების შესაბამის სურათებს მიეუსადაგე შუემერში არქეოლოგიური გათხრების და მონაპოვრების შედეგად აღმოჩენილი ქალღმერთ ინანას გამოსახულებები, რომლებიც წარმოადგენს ქართული ასომთავრული ანბანის 21 და 37 ასო-ნიშნების შესაბამის კოსმიურ სურათებს.

მიმანია, რომ ქართული „ასომთავრული“ ანბანის შესაბამისი კოსმიური პროცესების მონაცვლეობა დროში არის ადამ და ევას ცივილიზაციის კოსმიური გზა, რის შემდეგაც სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ საფეხურზე.

9. საქართველოს ახალ დროშასთან დაკავშირებით გამოვქვეყნე სტატია – **„ოქროს საწმისი საქართველოში დაბრუნდა“**, სადაც წარმოჩინებულია, თუ რა არის „ოქროს საწმისი“ და „გრაალის თასი“.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მუშაობამ განაპირობა ის, რომ ჩემში დიდი დაინტერესება გამოიწვია „ქება“-ს ტექსტმა. გთავაზობთ ჩემს გამოკვლევებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნაზი ხანიაშვილი

„შუსხმა Q ქართველთა Q და ქართველთა ენისა Q“

ქართული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ს ოთხი ნუსხაა დღემდე მოღწეული. ისინი გადაწერილია საბაწმიდის ლავრაში იერუსალიმის მახლობლად და სინას მთაზე არსებულ მონასტერში, რომელიც წმ. ეკატერინეს სახელს ატარებს. ივარაუდება, რომ მისი შედგენა **იოვანე-ზოსიმუს X** საუკუნის 40-იან წლებში უნდა დაეწყო. ირკვევა, რომ კრებულზე მუშაობა მას 965 წელს დაუსრულებია საბაწმიდის ლავრაში.

ნუსხათა შორის ყველაზე ადრეული დღეს პეტერბურგში, რუსეთის ეროვნულ ხელნაწერთა ფონდის ბერძნულ კოლექციაშია დაცული. ტექსტი დაყოფილია მუხლებად, რაც ასომთავრული დიდი ზომის „დონებით“ არის მინიშნებული.

მეცნიერთა აზრით ოთხივე ხელნაწერი იოვანე-ზოსიმეს ხელით არის შესრულებული, მაგრამ მეოთხე ხელნაწერის შესწავლა გვიჩვენებს, რომ „ეს აზრი გადასინჯვას მოითხოვს“.

ხელნაწერები მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან. მეცნიერთა მიერ მოხდა მათი შეჯერება და განხილვა, რომელიც ქალბატონმა ლილი ხევსურიანმა და ბატონმა ტარიელ ფუტყარაძემ შესანიშნავად ჩამოაყალიბეს წიგნში „ქება ქართულისა ენისა“.

წიგნის ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ მომავალში ეს წიგნი დიდად გაუადვილებს მკვლევარებს „საგალობლის“ შემდგომ შეცნობა-წარმოდგენას.

გავეცანი მეცნიერთა დაინტერესებას „ქება“-ს ტექსტით, მათ მოსაზრებებს. ზოგიერთ მათგანს მართლაც

სწორი მიგნება აქვს, მაგრამ ძალიან ზოგადი. ვფიქრობ, ესეც წილხვედრილობაა. სხვა მეცნიერთა მსგავსად მეც ვეცდები ჩემი ახალი სიტყვა ვთქვა „ქებად“-ს ტექსტში დაშიფრული წინასწარმეტყველების შესახებ.

პავლე ინგოროყვას გამოკვლევების საფუძველზე „ქებად“-ს სათაური უნდა ყოფილიყო არა „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“, არამედ – **„შესხმად ქართველთა და ქართველთა ენისა“**. მე მას სრულიად ვეთანხმები. „შესხმად“ არა ქებას, არამედ გაცოცხლებას, ხორცშესხმას, უხილავის წარმოჩინებას ნიშნავს. „ქებად“-ს ტექსტიც იწყება სიტყვით „დამარხულ არს“, მაშასადამე, დამარხულის ქება კი არ უნდა მოიაზრებოდეს ტექსტში, არამედ გაცოცხლება, ხორცშესხმა, რაც „ქებად“-ს ტექსტშივეა აღნიშნული. თუ „ქებად“-ს ტექსტს კარგად ჩაგუკვირდებით, „ქება და დიდება“ არსად არ მოიაზრება, არამედ ტექსტში თავიდან ბოლომდე „მისი“ გაცოცხლების და მესიანისტურობის ღრმა ფილოსოფიური აზრია გატარებული. არაეთხელაა გაკეთებული მინიშნება „ო“-ქარაგმით – „უფლის“ მობრძანების თარიღის შესახებ. ეს წინასწარმეტყველება არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ ყველა უძველესი ცივილიზაციის ხალხთა საკუთრებაა. სწორედ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ ჩვენ ქემოთ.

ღმუს გეგრი მეცნიერი ცდილობს ანბანის აგტორად მიწიერი აღამიანების დასახელებას, ეს პაცობრიობის დიდ შეცდომად მიმაჩნია. ღმერთი ხაზბანსით ამოგს „მე ვარ ანი და ონი (ალფა და ომეგა), საწყისი და სასრული“.

ამ სიტყვებით ყველაფერია ნათქვამი, რომ ღმერთი არა მარტო „ანი“ და „ონია“, არამედ მათ შორის არსებულ დი. ჩემს ხილვებში ვხედავ ასო-ნიშნების შესაბამის არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიურ სურათებს, რაც მიადვილებს ამ საკითხებზე მუშაობას. ასომთავრული ანბანი მამადმერთს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში თავზე

ადგია, ენერგეტიკულია, მბრუნავია, ხოლო მხედრული ასონიშნები კი შუბლზე აწერია. აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება ქართული ანბანით. მაშასადამე, **ანბანი კოსმიური ნიშნებია, ღმერთი – შემოქმედის მიერ დამარხულია, დაფლულია, გასაიდუმლოებულია ყოველ მიკროთუ მაკრო სამყაროში ბენეტიკური კოდის სახით და არ შეიძლება იგი შექმნილი იყოს მიწიერი ადამიანის მიერ. შესაძლებელია მისი გაცნობიერება და არა შექმნა. ანბანი იბივე ღმერთია და ჩვეულებრივი მოკვდავი არ შეიძლება იყოს მისი შემოქმედი.**

„ქებად“-ს ტექსტის წაკითხვისას მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათ შედგენამდე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა მსგავსი წინასწარმეტყველება. ხოლო იოვანე-ზოსიმეს დაევალა მოექცია ეს წინასწარმეტყველება ქრისტიანულ ჩარჩოებში. ამის მაგალითია თვითონ ხელნაწერები. განსაკუთრებით ავღნიშნავდი შემდეგს: „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე კრქუან“, „ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამი და მართად“, „ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან“, სახარებით ხსნის იოვანე-ზოსიმე „ოთხ ათას მარაგს“ და უკავშირებს ოთხ დღეს სახარების ლაზარე-ელიაზარს.

„ქებად“-ს წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებით ჩემი აზროვნება უფრო შორეულ წარსულში მიდის. ვეცდები დავეყრდნო შუამდინარეთის, ჩინეთის, ეგვიპტის და სხვათა ცივილიზაციას და წარმოვაჩინო „ქებად“-ს ტექსტში ჩადებული საიდუმლო წინასწარმეტყველება შექმნილი მომავალი ათასწლეულებისთვის.

საიდუმლოს გახსნა იგივე ანბანის გაცოცხლებაა. როგორც ჩინეთის „იძინი“, ასევე ეგვიპტის „ტაროს არკანები“ და შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ – „ბედისწერის დაფები“, რომელთა მფლობელიც არის შუმერების ქალღმერთი ინანა, ევროპელთა რუნები. ყველა ეს

ცოდნა არის კაბალა. იგი ემსახურება ადამიანის, როგორც სამყაროს ბედისწერის განსაზღვრას, იგი არის **გენეტიკური კოდი** და ამავე დროს ქართული ანბანი, მისი მონაცვლეობა დროში (ამის მიმანიშნებელია ქართველთა უზენაესი ღმერთი – „მორიგე“), ითვალისწინებს თითოეული ასონიშნის შესაბამის არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოსმიური სურათების მონაცვლეობას დროში, რომელთა ხანგრძლივობა განისაზღვრება ასონიშნების გვერდით დაწერილი ციფრების ხანგრძლივობით დროის ფარდობითობის გათვალისწინებით.

ქართული როზოტე „ასომთავრული“, ასევე მხედრული ანბანი არის ღმერთის მიერ შექმნილი, თვითონ არის ღმერთი-უზალი „ანი“ და „ოხი“ (ალფა და ომეგა). იგი საწყის კოსმიურ პროცესშივეა ჩადებული როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყაროში გენეტიკური კოდის სახით, რაც ერთი საფეხურია იმ დიდი გენეტიკური გზისა, რომელიც უნდა გაიაროს სამყარომ.

„ქებაჲ“-ს ტექსტში რამოდენიმე მინიშნებაა, თუ ვინ უნდა „გააცოცხლოს“ ქართული ენა და ქართული აბანი და როდის და სად უნდა მოხდეს ეს; და საერთოდ, რა როლი აკისრია სამყაროს ცივილიზაციაში ქართულ ენას და ქართულ ანბანს. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

„ქებაჲ“-ს ტექსტის გარდა, დავათის სტელაზე 6 ხაზით დაწერილი ქართული ასომთავრული ანბანი, სადაც გამოსახულია გენეტიკური კოდის ორი სპირალი, გვაძლევს საშუალებას წარმოვაჩინოთ ის დრო, როდესაც გაიხსნება ანბანის საიდუმლო. ამასთან დაკავშირებით თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო დავათის სტელაზე ერთ მნიშვნელოვან დეტალს: სტელაზე გამოსახულ ასომთავრული ასონიშნებიდან მხოლოდ ერთი – „ჯ“ ასონიშანი გამოისახება განსხვავებულად – სკამის – ტახტის სახით და ამავე დროს არის „ჩ-ჩინ“ ასონიშანი, რაც „მზის ტახტს“ – „სამეფო ტახტს“ ნიშნავს, ამავე დროს მიგვანიშნებს, რომ

ჯ-ჯან-8000 ასო-ნიშნის კოსმიურ პერიოდის დასასრულს მოხდება „ტახტზე“ მჯდომის მობრძანება და ანბანის „გაცოცხლება“. **აღამს აქმე გავიდა 8000 წელი და მას შეესაბამება ახ.წ. 2000 წელი. დაღბა ღრო ანბანის „გაცოცხლები“.**

დავათის სტელა უძველესი წარმართობის ძეგლია თავისი იკონოგრაფიით. მასში ჩადებულია ის აზრი, რომ ქართული ანბანის მფლობელი ხვთისმშობელია. ამას გვიდასტურებს ის, რომ სტელა ხვთისმშობლის ტაძარშია აღმოჩენილი და მასზე ანბანის საპირისპირო მხარეს ხვთისმშობელია გამოსახული. მთლიანობაში დავათის სტელა უშუალოდ ხვთისმშობლის კოსმიურობის გაცხადებაა.

ვინ არის „ტახტზე მჯდომი“, ამ საკითხის გასარკვევად დაეუბრუნდეთ „ქებად“-ს ხელნაწერებს. ერთი შეხედვითაც თვალშისაცემია ასომთავრული **Ճ**-დ-დონ-4-ის და სიტყვა „**ღა**“-ს განსაკუთრებულობა. რასთან გვაქვს საქმე? ენციკლოპედიიდან შეგახსენებთ ქალღმერთ იზიდას გამოსახულებას, რომელსაც თავზე ადგია კუთხოვანი „**Լ**“-„**Ռ**“ ასო-იშნის სამების გვირგვინი, ხოლო ხელით ეხება გადაბრუნებულ ასომთავრულ „**Ճ**“-დონს. (ეს საუბრის სხვა თემაა). ტაროს არკანების მიხედვით, სადაც ანბანის 22 ასო-ნიშნის კოსმიურობაა წარმოჩინებული, მეოთხე ასო-ნიშანი არის „**Ճ**“, ანუ იმპერატორი, ხოლო შუამერების „**მე**“-ს „ხვთაებრივი კანონებით“ მეოთხე არის „სამეფო ტახტი“. ამასთან ის, ვინც მოდის არამარტო „სამეფო ტახტის“ მფლობელია, არამედ არის „**ღა**“ – რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. **ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ზეციური სამეფო ტახტის მოსვლასთან აღამიდან 8000 წელს, ანუ ახ.წ. 2000 წელს.** ამ თარიღზე მინიშნება საკმაოდაა თვით „ქებად“-ს ტექსტში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასევე შუამერების ერთ-ერთ ქვის ბეჭედზე, რომელიც ლონდონის მუზეუმში ინახება, წარმოჩინებულია

წინასწარმეტყველება ქალღმერთ ინანას მობრძანების შესახებ „თევზის ზოდიაქოს“ ბოლოს, რომელიც შეესაბამება ახ.წ. 2000 წ. ერთმნიშვნელოვნად, ქართული ანბანი არის ქალღმერთ ინანას „ცის დედოფლის“ გენეტიკური კოდირებული გზა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ „ცივილიზაციის ატრიბუტები“, „ბედისწერის დაფები“. შუმერული სიტყვა „მესი“ – მესია არის „კოსმიური ხე, დიდებული საწმისი, ღმერთების ხორცი, ქვეყნიერების მეფის სამკაული, წმიდა ხე, საუფლოდ განწესებული, იგივე ქალღმერთ ინანას წმიდა ხე, რისგანაც შემდეგში ტახტი და საწოლი (კიდობანი) უნდა გაეკეთებია“.

ანბანი რომ ხვთისმშობლის კუთვნილებაა, ამის კიდევ ერთი დასტურია მოსკოვის ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემა 2003 წლის იანვარში სათაურით „Пришельцы“, სადაც იკვლევდნენ რუსეთის ტერიტორიაზე ე.წ. „ანომალიურ“ ზონას. ფოტოფირზე აღიბეჭდა გამოსახულებები, რასაც თვალი ვერ აღიქვამდა. მათ შორის ერთ-ერთ ფოტოფირზე წერტილის სახით რაღაც აღიბეჭდა. იგი გაადიდეს და ეკრანზე გვიჩვენეს – ეს იყო ფეხზე მდგომი იბერიის ხვთისმშობელი ყრმით. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის არის, რომ დიქტორმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „მასზე, ხვთისმშობელზე გამოსახულია ანბანი“, მაგრამ არ დააკონკრეტა რომელი. ეს რომ რუსული ასო-ნიშნები ყოფილიყო, ამას რუსი დიქტორი სიამაყით წარმოაჩენდა. ე.ი. ეს იყო სხვა ენის ანბანი და არა რუსული. იბერიის ხვთისმშობელზე, რა თქმა უნდა, ქართული ასო-ნიშნები იქნებოდა გამოსახული.

თქვენს წინაშე მინდა წარმოვაჩინო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – წინასწარმეტყველება, რომელიც მცხეთის სვეტიცხოვლის კათედრალური ტაძრის კედელზეა გამოსახული – ქვესკნელ-ზესკნელ-შუასკნელის – ზოდიაქოს კალენდარის გამოსახულება. ქვედა რეესტრში მოიაზრება ქვესკნელის სამეფო (შუმერების ქალღმერთი ინანა ჩადის „ქვესკნელის სამეფოში“, რათა გახდეს

ქვესკნელ-ზესკნელის დედოფალი), სადაც გამოსახულია სხვადასხვა პერიოდის და ეროვნების წმიდანთა ჯგუფები, რომლებიც მიემართებიან შემაღლებულ ადგილას მდგომი, თეთრ საპატარძლო ქართულ კაბაში ჩაცმულ, წელზე სარტყელით (ნაყოფიერების ღმერთის სიმბოლო), ქართული იერსახის მქონე ქალისკენ. მარცხენა ხელში უკავია მტრედი – სულიწმიდის სიმბოლური გამოხატულება. წინ მებუკეები მიუძღვებიან. გასაოცარი ის არის, რომ ქართული კაბისთვის დამახასიათებელი თავსაბურავი არა აქვს, არამედ ახურია ქალღმერთ ინანას ქუდი. მასთან ახლოს არის მანათობელი სფერო. მეორე მანათობელი სფერო თვით „ადაპას“ უკავია ხელში ზოდიაქოს კალენდარზე, რომელსაც აწერია X. კალენდარზე გამოსახული „მზის“ თვალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი დგას თევზის ზოდიაქოს წინაშე და ელოდება მერწყულის პერიოდს. მაშასადამე, აქაც ადგილი აქვს ზემოთ აღნიშნულ წინასწარმეტყველებას, რაც მიგვანიშნებს, რომ უნდა ველოდოთ „ქართულ კაბაში გამოწყობილი ქალღმერთის – „პატარძლის“ მობრძანებას – იბერიის ხეთისმშობლის მობრძანებას. წარწერები ბერძნულია, ბერძენთა მიერაა შესრულებული მთლიანად ეს სურათი, მაგრამ რატომღაც ყველაზე მნიშვნელოვანი ქალის ფიგურა თეთრ ქართულ კაბაშია გამოწყობილი. ვფიქრობ, ამ ძეგლის შესწავლა ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქართული საზოგადოებისთვის.

საქართველო ხეთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. **ხეთისმშობელი , ანუ ზეციური დედა, ზეციური თვალსაზრისით არის დედა მისტერიებისა, ყველა ძველი რელიგიებისა და კულტებისა, ხოლო „პირველქრისტიანთა და ეკლესიის მამათა ბაბუბით არის სულიწმიდის მიწვიერი გამოცხადება, სულიწმიდისა, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძენისა და ამავე დროს ცოდვათაგან განწმენდის მაღლისა. სულიწმიდის**

ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ არის გაბრიელ მთავარანგელოზი“. უკველეს წარმართობის ხანაში ანგელოზებს სქესით გამოსახავდნენ. ღვთათის სტელას მიხედვით ანგელოზი გაბრიელი ქალია.

ქართველები ყველა წმიდა სახელს სამყაროს დიდ დედას უკავშირებენ: დედა მიწა, დედა ენა, დედა სამშობლო, დედა აზრი – მთავარი აზრი, დედა ბუნება, დედოფალი – დედუფალი, ადგილის დედა, დედა ბოძი, დედაქალაქი...

იოანეს გამოცხადებაში მაცხოვარი უამბობს თავის მოწაფეებს, რომ „მომავალში სულიწმიდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და ამავე დროს უნდა მოჰმალღოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე“.

იბერიის ხეთისმშობელი, იგივე ქალღმერთი ინანა, იშთარი, ვენერა, აფროდიტა, ცისკრის და მწუხრის ვარსკვლავი, მთიები, ისიდა – იზიდა, ქართველთა დაღ-დედოფალი, არის ცასა და მიწას შორის მდგომი, მიწის შემქმნელ მომწესრიგებელი, სიბრძნის ხეთაება, ხელოვნების, კანონმდებლობის, დამწერლობის ქალღმერთი. მისი ბუნება შემდეგნაირად ხასიათდება: „ბრწყინვალე, უძვირფასესი ქალბატონი, წყალობა და დედობა, თვითონ ის არის დიდი დედა, ოქროს ქალღმერთი, „ან“-თან ერთად ზის უზენაეს ტახტზე“.

ყველა ზემოთ განხილული წინასწარმეტყველება მიმანიშნებელია იმისა, რომ **მსოფლიოს ხალხთა წინასწარმეტყველებაა ხვთისმშობლის ამჟვეჟნად მობრძანება**. ეს წინასწარმეტყველება ჩადებულია „ქებადს“ „საგალობელშიც“, მაგრამ უფრო კონკრეტულად და ვრცლადაა მინიშნებული ქალღმერთის მობრძანების მიზეზი და მიზანი, მისი მობრძანების დრო, რათა „გააცოცხლოს“ ქართული ანბანი, ქართული ენა. სად ინებებს მობრძანებას დედოფალი ცისა და მიწისა? რა თქმა უნდა სადაც მისი წილხვედრი ქვეყანაა.

ოდითგანვე არსებობს მითი იმის შესახებ, რომ კაკა-

სიონზეა მიჯაჭვული ამირანი – პრომეთე, ხვთისმშობლის წილხვედრი მიწა-წყალია, დავათის სტელა სოფ. დათშია აღმოჩენილი. „ღაო“ ჩინეთის დიდი რელიგიაა და ვფიქრობ, ეს სიტყვაც ქართული წარმოშობისაა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. დავათის სტელაზე ქართული ასომთავრული ანბანი 6 ხაზითაა გამოსახული, რომელსაც შეესაბამება ჩინეთის „ი-ძინ“-ს პექსაგრამა „π“ – დაცემა, დაქვეითება, დაკნინება. ქართველები სამყაროს ქმედებას გამოსახავდნენ არა მარტო 6 ხაზით, არამედ თითოეულ ხაზზე განალაგებდნენ გარკვეულ ასო-ნიშნებს და მათ გარკვეულ რაოდენობას. შუამდინარეთის მითოლოგიით 7 მთის იქეთ, ჩრდილოეთით ცხოვრობდა „არათას“ ხალხი, რომელსაც ქალღმერთ ინანას ხალხი ეწოდებოდა, სადაც მოიპოვებდნენ ლითონს და ძვირფას ქვებს. გაუჩინებოთ ქართული გამოთქმა: „იყო „ღა“ „არა“ იყო „რა“, ხვთის უკეთესი „რა“ იქნებოდა. იყო ერთი...“ რაც გვაძლევს იმის საფუძველს – „არათას“ ხალხში ქართველები მოიაზრებოდა. ეს მომავალი ძიების თემაა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიგვანიშნებს იმაზე, რომ ძველად საქართველო ყოფილა უდიდესი რელიგიური ცენტრი, სამყაროული გული (ვითარცა ტიბეტი).

„ქებაა“-ს საგალობელის წინასწარმეტყველების ძირითადი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ქართული მითოლოგია და უძველესი ქართული ტრადიციები, აგრეთვე შუამდინარეთის, ეგვიპტის, ჩინეთის და სხვა უძველეს ხალხთა მითოლოგია.

„ქებაა“-ს შეჯერებულ ტექსტში უცვლელად დავტოვეთ ის ადგილები, რომლებიც იოვანე-ზოსიმეს სამ ხელნაწერში ერთნაირად იყო, ხოლო სხვადასხვა მოსაზრების გამო შეტანილი იყო ცვლილებები მეოთხე ხელნაწერის მიხედვით.

მეცნიერებმა ტექსტი 10 პუნქტად დაყვეს. ცალკე-ცალკე შევეხები თითოეულს და ჩამოვაყალიბებ ჩემს მოსაზრებას.

„ქებაჲ და ღიღებაჲ ქართულისა ენისაჲ“

ღამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

ღა ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.

ღა ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ.

ღა მეგობრობაჲ ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

ღა ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის თქუა დაგით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“.

ღა სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათცხსა, წერილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყუს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღე;

ღა ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.

ღა ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა ო~ისაჲთა (უფლისაჲთა), მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა ო~ისასა (უფლისასა).

ღა სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს

მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.
და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ
წარმოვითხარ ასი ესე წელი ანბანისაჲ.

[1] „**ღამარხულ არს ენაჲ ქართული დღედგდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებულად, რაჲ თა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა**“.

ამ წინადადებაში სამ მთავარ აზრს ვხედავ:

1) „**ღამარხულ არს ენაჲ ქართული**“. ე.ი. ქართული ენა, ქართული ანბანი „ღამარხულია“, დაფლულია, უხილავია, დროებით უცნობია მისი ჭეშმარიტი არსი – გასაიდუმლოებულია.

ცნობილია უძველესი ეგვიპტის აზროვნება ანბანის შესახებ, რომელიც იყო გასაიდუმლოებული და ჩვენამდე მოაღწია ტაროს უფროს და უმცროს არკანთა-საიდუმლოთა სახით, რომელიც მოიცავს საიდუმლო ცოდნას „ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე“, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე. ეს ცოდნა ცნობილი იყო მხოლოდ რჩეულთათვის.

თითოეული ასო-ნიშნის შესაბამის კოსმიურ სურათს უწოდებდნენ „დახურული ტაძრის გასაღებს.“ **უპვიპტის ტაროს არკანთა სისტემას მსოფლიოში ცნობილი 14 ანბანიდან თავიდან ბოლომდე მხოლოდ ქართული ანბანი ერბება.** ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია.

2) „**დღედგდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებულად**“. ე.ი. ვიდაც უნდა მოვიდეს, რომელიც გააცოცხლებს და წარმოაჩენს ქართულ ენას და ქართულ ანბანს. ეს აუცილებლად მოხდება მისი მოსვლის ჟამს და მის მიერ. ამ პერიოდისთვის ანბანის კოსმიური არსის გასაიდუმლოებას მნიშვნელობა აღარ ექნება, პირიქით, შემდგომი ცივილიზაციისთვის აუცილებელი იქნება წარმოჩინდეს მისი ჭეშმარიტი ფილოსოფიური და კოსმიური სახე. ზოგჯერ სიტყვაში „მისი“ მოიაზრებენ „მესიას“. ამ სი-

ტყვის არსი და გაგება შუამდინარეთის ხალხთა აზროვნებაში თუ როგორი იყო, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. სიტყვაში „მისი“ არ მოიაზრება ჩავეულებრივი მოკვდავი, არამედ აუცილებლად ის იქნება ღმერთის სიტყვის მიმღები. „მეორედ“ მოსვლის თემას ქვემოთ შევეხებით.

3) „ქება“–ს ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან **„რადია ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“**, ნათელია, რომ ის, ვინც მიმღებია ღმერთის სიტყვის აუცილებლად ქართველი იქნება და ქართული ენით ეტყვის სხვა ხალხებს იმას, რასაც ღმერთი საჭიროდ ჩათვლის.

შესავალ ნაწილში უკვე ვისაუბრეთ, რომ მაცხოვარი თავის მოწაფეებთან საუბარში აღნიშნავს, რომ „მომავალში სულიწმიდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და ამავე დროს მოჰმადლოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სობრძნე“. სულიწმიდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ არის **მთავარანგელოზი გაბრიელი**. უძველეს დროში ანგელოზებს სქესით გამოსახავდნენ. **ღავათის სტილასზე მთავარანგელოზი გაბრიელი ძალია**.

მთავარანგელოზი „გაბრიელი“ – ეს სახელი გვეუბნება: „ღმერთშია ჩემი ძალა“. იგი განაგებს სამოთხეს, მთავარანგელოზი მიქაელის გვერდით მოხსენიებულია ქრისტიანულ წმიდა წიგნებში. მან დააწერია მუჰამედს მუსულმანთა წმიდა წიგნი „ყურანი“.

მთავარანგელოზი გაბრიელი პირველია 12 ანგელოზთა შორის, მიეკუთვნება წლის პირველი თვე – იანვარი, რომელიც ორსახა ღმერთის – „იანუსის“ სახელს ატარებს.

მეთორმეტე ანგელოზია „ხანიელ“ – „ხანილ“ – იგივე „ცა“, „ღმერთის სიდიადე“, „ღმერთის წყალობა“, „ის ვინც ხედავს ღმერთს“. მას მიეკუთვნება დეკემბერი – ქრისტეშობის თვე.

რაც შეეხება „მეორედ მოსვლას“, ამ საკითხს ქვემოთ განვიხილავთ.

**[2] „ესე უნდა მიიწიარე არს დღესამომღე და სხხარე-
ბასა შინა ამას უნასა ლაზარე ჰრძჳან“**

„ენა მიიწიარე“ არის ნიშნავს, რომ ამ ენამ უნდა „გაიღვიძოს“ როცა ამის დრო მოვა, რათა ქართული ენით ამცნოს ყველას ანბანის ჭეშმარიტი არსი, მისი უდიდესი კოსმიური მნიშვნელობა. ქართული ენა გაიგივებულია „ლაზარესთან“.

ვინ არის „ლაზარე“ წარმართობის პერიოდში და რატომ აიგივებს „ქება“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას, ქართულ ანბანს მაინცდამაინც „ლაზარესთან“?

ქართული მითოლოგიით „ლაზარე“ არის „დარისა და ავდრის“ წარმართობის დროის ხვთაება. თუმცა „ცა-ღრუბლის ბატონად“ „ელია“ ითვლება. „ელია“ „ლაზარეს ორეულია“, ნაყოფიერების ხვთაებაა.

კახეთში, როცა გვაღვა არის, გოგონები გააკეთებენ თიხის „ლაზარეს“, სოფელში დადიან შესაბამისი სიმღერით და რომელ სახლთანაც მივლენ, „ლაზარეს“ წყალს მიასხავენ.

სამხრეთ საქართველოში ლაზარეს კი არ აკეთებენ, არამედ ერთ ქალს ამოირჩევენ და ამ ქალს კარდაკარ სიარულის დროს ასხავენ წყალს.

ჭადრაკში „ლაზიერი“ – დედოფალია.

ხევსურებს ცა-ღრუბლის გამგედ „პირიმზეც“ (მდედრია) მიაჩნდათ.

სვანურად „ელვაჲ“ ნიშნავს „მზეს“ – ქართველთა უძველესი აზროვნებით ქალია – მდედრია.

აფხაზეთში ამ დღესასწაულს „ლაზარობა“ ჰქვია. გვალვის დროს ქალიშვილები „დედოფალს“ აკეთებენ. დასვამდნენ თეთრ მატერია გადაფარებულ ვირზე „დედოფალს“, ისე დადიოდნენ კარდაკარ. შემდეგ „დედოფალს“ წყალში ჩააგდებდნენ და თვითონაც ჭყუმპალაობდნენ.

ბოლოს ნაყოფიერების „ღმერთის“ სიმბოლოდ სარიტუალო სამოსზე „სარტყელი“ შემორჩა.

მითოლოგიასა და ხალხთა რელიგიურ წმინტულ-ბეგზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ლაზარე“ მდებარეობითი სქემის ნაყოფიერების „ცა-ღრუბლის“ ხვთაებაა, იგივე „დელოვალი“-„პირი-მზე“ (ზოგიერთი უძველესი ხალხი მზეს „პირის“ სახით გამოსახავდა). „ლაზარობის“ რიტუალში მხოლოდ გოგონები იღებდნენ მონაწილეობას. უძველესი წარმართობის დროს საქართველოში „მზე მდებარეობითი სქემის ხვთაება იყო, რაც ძალიან იშვიათია და ეს ჩვენი ხალხის უძველეს ცივილიზაციას მიეკუთვნება.

ქართულ ლექსიკონებში „ელია“ ნიშნავს „უშალო ღმერთო“

„ელი“ – „ელია“ – „ელიაზარ“ – „ლაზარე“ – „ხეთის შეწვევა“, თვით სიტყვა „მეოხი“ – მეოხება, შემწვენი – შეწვევანა.

ჩემს აზროვნებაში ერთნაირად წარმოჩინდება სიტყვები „ოხი“ – „მიოხი“ – „მეოხი“ , ანუ მე-„ოხი“.

„ვენერა“ სიყვარულისა და ქორწინების, ნაყოფიერების ქალღმერთია.

რომში „ვენია“ იხსენიებოდა ღმერთების წყალობის მნიშვნელობით. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ლაზარე“ – „მეოხი“ – „ოხი“ – დედოფალი – მზე – „ვენერა“, მდებარეობითი სქემის ნაყოფიერების ქალღმერთია, რომელიც „ქება“-ს ტექსტით გაიგივებულია ქართულ ენასთან.

მაშასადამე: „ქება“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას და ქართული ანბანის „გაცოცხლება“-„გაღვიძებას“ აკავშირებს „ლაზარესთან“, რომელიც არის ქართველთათვის „ცა-ღრუბლის“ ხვთაება, „ნაყოფიერების ქალღმერთი“, „დელოვალი“, „მზე“, ვენერა, აზროღობა, ცისპრის ვარსკვლავი, „ჰვალა მხარის ქალბატონი“, „უმეორების ქალღმერთი ინანა, იზიდა, იბერიის ხვთისმშობელი.

ქართული ანბანი არის იგივე შუმერების „მე“-ს „ღე-

თაებრივი კანონები“, „ბედისწერის დაფები“ – გენეტიკური კოდი ადამ და და ევას ცივილიზაციისა, რომელთა მფლობელი არის შუმერების ქალღმერთი ინანა, ე.ი. იბერიის ხეთისმშობელი და „ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველების მიხედვით ქართული ანბანის „გაღვიძება-გაცოცხლება“ უკავშირდება სამყაროს დედის – ნაყოფიერების ქალღმერთის „მეორედ“ მობრძანებას.

[3] **„და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიაში და მარტია“.**

„ქებაჲ“-ს წაკითხვისას მრჩება შთაბეჭდილება, რომ იოვანე-ზოსიმეს მიერ „ქებაჲ“-ს ტექსტის გადაწერამდე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა მსგავსი წინასწარმეტყველება, ხოლო იოვანე-ზოსიმეს დაევალა მოექცია ეს წინასწარმეტყველება ქრისტიანულ ჩარჩოებში. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა.

„ქებაჲ“-ს ტექსტში განსაკუთრებულადაა აღნიშნული ოთხი ქალი, ისინი დები არიან. მათგან ერთი მოიხსენიება ჰელენე დედოფლად, ხოლო მეორე „ახალ ნინოდ“. რადგანაც „ქებაჲ“-ს ტექსტის პარალელს ვაკეთებ ძირითადად შუამდინარეთის და სხვათა მითოლოგიაზე დაყრდნობით, უნდა ავღნიშნო, რომ ქალღმერთი, რომელიც არის „დედოფალი „ცისა“ და ქვესკნელის სამეფოში ჩამოდის, რათა გახდეს აგრეთვე „დედოფალი მიწისაც“, ჰყავს სამი „ღა“, ე.ი. სულ არიან ოთხი „ღა“. მათგან ერთი „ღა“ – ქალღმერთი ინანა იხსენიება **„დედოფლად“**, უზენაესი დედა, არსთა მშობელი, ყოფიერების საფუძველი. ქალღმერთ ინანას გამოსახავდნენ ხელებაწიქულს – „ხელებით ცას აკავებს – ცის თალის შემკავებელი, ფეხით მიწას ეყრდნობა“, ფრთებით, ვითარცა ანგელოზი, ნაპოვია ასეთი გამოსახულებე-

ბი და ინახება მსოფლიოს მუზეუმებში, მოცემულია მითოლოგიის ენციკლოპედიებში.

პირველი ადამი დედამიწაზე არის „ადამი-ანი“ – ადამი-ანი. ადამიანი, ის დედაკაცია თუ მამაკაცი, ორივე **„კაცი“-ა**, ამავე დროს ორივე მატერიაშია. ორივეში როგორც მღვდრი, ასევე მამრი საწყისია (ამ ქვეყანაზე ხან ქალად მოდის ხან კაცად). ორივე არის „ინ“ და „ან“-ის ერთობლიობა, სინთეზი. ე.ი. თითოეული ადამიანი ერთიანობაში არის „ინანა“. ვფიქრობ, ამ ზოგად საკაცობრიო ფილოსოფიასთანაა დაკავშირებული თვით შუმერების ქალღმერთის „ინანას“ სახელიც, რომელიც არის „დედოფალი ცისა“ და სურს გახდეს დედოფალი მიწისაც, მას გამოსახავდნენ „ცასა და მიწას შორის“ მდგომს. სიტყვა **„კა-ცი“-ს** მიხედვით: **„კა“ იგივე „შუ“ - იგივე ქალღმერთი „ინანა“ არის პირველქმნილი სული**, მეორე „მე“ და გამოსახავდნენ ზემოთ აწეული ხელებით – „ცის თაღის შემკავებელი, ფეხით კი მიწას ზომავს“. ცის ღმერთთან „ან“-თან ერთად შექმნა სამყარო. „კა“ შუამდინარეთში მოიხსენიება I დინასტიიდან. ხოლო „ცი“ – „ცა“ „სამწერლობო ქართულის ცნობა ცხადყოფს, რომ „ცა“ ცისკრის ვარსკვლავის, მთიების, ანუ აფროდიტას, ვენერას სახელი უნდა ყოფილიყო“.

ეგვიპტელები ქალღმერთს ცაში ასულს – ცის თაღის სახით გამოსახავდნენ.

ამ მსჯელობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **„კა“ ადამიანის, როგორც ქალის, ასევე მამაკაცის სხეულში არის პირველქმნილი სული, მისი მეორე „მე“, ხოლო „ცი“-„ცა“ არის იგივე „ინანა“, აფროდიტა, ვენერა, ცისკრის ვარსკვლავი.**

დავუბრუნდეთ ისევ ოთხი „ღა“-ს თემას. შუმერების მითოლოგიით „ენქი“ – ენკი (მიწა-წყლის ღმერთი) წყლის ღმერთი არის ოთხივე ღის მამა. მან ერთ „ღა“-ს მისცა ძვირფასი სამკაულები, მეორეს – ოქროს თითისტარი, მესამეს – საზომი ერთეული, თვალყურს ადევნებს საზღვრებს

და შეთანხმებათა დაცვას, აგრეთვე ღმერთების ჭამა-სმას, ხოლო მეოთხე „დას“ – ინანას მისცა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომლებიც არის აგრეთვე „ბედისწერის დაფები“, „მადლნი“ – ჩემი გამოკვლევებით ქართული ანბანი. ინანას ებოძა აგრეთვე „მაცხვარის კვერთხი“.

ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს სამყაროს ოთხ საწყისთან: ცა-ცეცხლი, მიწა, წყალი, ჰაერი.

ოთხი „ღის“, როგორც სამყაროს ოთხი საწყისის ერთ სხეულში განსხეულების – ერთარსებაში შერწყმის ნათელი მაგალითია აგრეთვე ინდოეთის ქალღმერთი შაქტი, რომლის ერთ სხეულს აქვს რვა ხელი, უკავიათ თითის-ტარი, ხმალი, კვერთხი, მშვილდისარი-ელვა, ზის ვერძზე.

აქვე უნდა ავლნიშნოთ ეგვიპტის ფარაონის – ტუტანხამონის სამარხი, სადაც სამი ოქროს კუბო ჩადგმულია ერთმანეთში, თითოეულზე გამოსახულია მიცვალებული ფარაონის მთლიანი სხეული სამეფო ატრიბუტებით და მეოთხე არის თვით შიგნით მოთავსებული მიცვალებული ფარაონის სხეული. თითოეული კუბო ეგვიპტელთა გაგებით ოქროს კიდობანია, ამავე დროს მიაჩნიათ, რომ კუბოები მდედრობითი სიმბოლოა რადგანაც მატერიას განასახიერებს და ვფიქრობ, დაკავშირებულია სამყაროს ოთხ საწყისთან – ოთხ სხეულთან, რომლისგანაც შედგება სამყაროში ყველაფერი. მიაჩნიათ, რომ ფარაონი არის „**მზე**“, **რომელიც ბარდაცვალებიდან მისაგე .ღმუს აღსდგება**. ამ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

რა წინასწარმეტყველებაა სიტყვებში „**ახალმან ნინო მოაქცია**“. ვფიქრობ, ამჯერადაც „ახალი ნინო“ კვლავ ქრისტიანობის გამავრცელებელი იქნება, ამჯერად ახალი გაგებით. ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

რაც შეეხება დედოფალი „**ჰელენი**“-ს სახელს, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ცნობილია ქალღმერთი „ჰელი“. მას ჰყავს დები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაგებენ ქვეყანას. „ჰელი“ – ნიშნავს ნათელს, „**ჰელიოს**“ – **მზე**. „**ელი**“ –

ცის შემოქმედი ნაყოფიერების კეთილი ხვთაება.

მაშასადამე, ბერძნულ მითოლოგიაზე დაყრდნობით „**ჰელენი**“ არის მზე, სინათლისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, ცის შემოქმედი ღმერთი, ნაყოფიერების კეთილი ხვთაება. მისი სახელი ოქროს საწმისთანაა დაკავშირებული: „ჰელე“ ძმასთან ერთად ზევსისთვის უნდა შეეწირათ. ისინი დედამ გადაარჩინა, შესვა ოქროსსაწმისიან ვერძზე, ღრუბლებით შებურა და კოლხეთს გააპარა. ჰელენეს სახელთანაა დაკავშირებული საბერძნეთის მთავარი ტომის – „ელინის“ სახელიც. შემდეგ მთელს საბერძნეთში გავრცელდა როგორც ხალხის ხვთაებრივი ჩამომავლობის საბუთი. მითოლოგიით ცნობილია აგრეთვე „სელენი“ – ჰეკატე – აიეტის ცოლთან და იზიდასთანაა გაიგივებული.

ეფიქრობ, **„ჰემა-ჰუნილის და ნაყოფიერების ღმერთის – „ელიას“ სახელიც, რომელიც „ლაზარეს“ ორბულია, წარმოსდგება „ელი“-„ელენი“-„ჰელენიდან“, რომელიც მითოლოგიურად მზის დედოფალია, მზის ძალღმერთია.**

შუმერების მითოლოგიით „დად“ არის მეხისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი, „ლაზარეს“ პროტოტიპია, „შამაშის“ (მზის) გვერდით იხსენიება „დიდ მსაჯულად“. თვით სიტყვიდან „და-დ“, დ-დონ-4 ქართული ანბანის მეოთხე ასო-ნიშანია, რომელიც შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონებით“ არის „სამეფო ტახტი“, ხოლო ეგვიპტელთა ტაროს არკანებით არის „სიბრძნისა და სამარლიანობის ქალღმერთი – სამეფო ტახტი“.

ვინაიდან ტახტი და ღმერთია ორივე შემთხვევაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „დად“ – მეხისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი, რომელიც პროტოტიპია „ლაზარესი“, ამავე დროს არის ზემოთ აღნიშნული ოთხი „დიდან“ ერთ-ერთი „და“ – **დედოფალი**, ქალღმერთი ინანა, იზიდა, იბერიის ხვთისმშობელი, „ლაზარე“, ქართული ენა და ქართული ანბანი“.

„ქება“-ს ტექსტის ერთი შეხედვითაც კი თვალში-საცემადაა გამორჩეული „**რ**“ და სიტყვა „**ღა**“, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ **წინასწარმეტყველებაში გასაიდუმლოებული აზრი ეხება პირითაღად „**რ**“ – სამეფო ტახტს“ და „**ღა**“ – დედოფალს.**

„ქება“-ს ტექსტის შედგენის პერიოდისთვის ცნობილი იყო სიტყვა „**ღა**“-ს მნიშვნელობა, მისი როლი ქართულ აზროვნებაში. იგი არის ყოველი ახალი აზრის საწყისი, შემაკავშირებელი აზრთა, სიტყვათა და ყოველთა, და ბოლოს ნიშნავს დედამამისშვილს – მდედრს. რაც შეეხება ზემოთხსენებულ 4 „**ღა**“-ს, ისინი არიან „მეგობრები“, რაც ძველი ქართული აზროვნებით „მარად ერთად მყოფნი და განუყოფელნი“ არიან, ვითარცა სამყაროს ოთხი საწყისი, რომელთაც ენერგეტიკულად აკავშირებთ „**ღობა**“-„მეგობრობა“ ოთხივე ერთად წარმოადგენენ გამატერიალიზებულ სხეულს, „დმერთის ხორცს“, „სიცოცხლის ხეს“.

„ქება“-ს ტექსტში განსაკუთრებით გამორჩეულადაა გამოსახული **რ-დ-დონ-4**, იგივე „**მზე**“, რაც მიგვანიშნებს „სამეფო ტახტის“, „და-დედოფლის“, სიუხვისა და ნაყოფიერების ქალღმერთის, მზის ქალღმერთის, იბერიის ხვთისმშობლის განსაკუთრებულ მესიანისტურობაზე, რომელმაც უნდა „გაადვიდოს“, „გააცოცხლოს“ ქართული ენა და ქართული ანბანი.

[4] „ღა მებოგრობაღ ამისთვის თქვა, ვითარმოდ ყოველი საიდუმლოღ ამას ენასა შინა დამარხულ არს“

აქ მოიხსენიება „ოთხი დის“ „**მებოგრობა**“. ქართულ უძველეს აზროვნებაში სიტყვაში „მეგობრობა“ მოიაზრებოდა „სამუდამოდ გაუყარი საყვარელი, მარადის მის თანა მყოფი“.

მაშასადამე, ზემოთ მოხსენიებული „ოთხი **ღა**“ – სამყაროს ოთხი საწყისი – ცა-ცეცხლი, ჰაერი, მიწა, წყალი

განუყოფელი, მარად ერთად მყოფი, შერწყმული და ერთარსებაა, ვინაიდან როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყაროს არსებობა ერთ-ერთი მათგანის გამოკლებით შეუძლებელია. ოთხი საწყისისგან შედგება სამყაროში ყველაფერი. მათი ერთიანობა ჩადებულია სამყაროს გენეტიკურ კოდში, რომელიც არის ქართული ანბანი, ქართული სიტყვის ძალა.

სიტყვებში „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, მოიაზრება ქართული ასომთავრული ანბანის ჭეშმარიტი კოსმიური არსი. იგი არის გენეტიკური კოდის ერთიანი ჯაჭვი და თითოეული ასო-ნიშანი ამ ჯაჭვის შემადგენელი რგოლი. ხდება მათი მონაცვლეობა დროში.

თითოეული ასო-ნიშანი წარმოადგენს „ღმერთის ბეჭედს“ არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესისას, რომელიც მოიცავს ღმერთთა სამყოფელს, სიცოცხლის ხეს, გოგირდის და ცეცხლის ტბას და სხვა. მთლიანად სამყარო ამ პროცესის ასახვაა და დროის ნებისმიერი მომენტისთვის მას შეესაბამება თავისი გარკვეული ადგილი გენეტიკური გზის მთლიან პროცესში. ქართული ასომთავრული ანბანი თავისი კოსმიური გენეტიკური არსით ერთდროულად შეიცავს სამყაროს როგორც წარსულს, ასევე აწმყოს და მომავალს.

ქართული ასომთავრული ანბანი არის სამყაროს გენეტიკური კოდირებული გზა „ადამ და ევას“ ცივილიზაციისა, რომელიც ემყარება სამყაროს ოთხ საწყისს, მისი დასრულების შემდეგ, ე.ი. 37-ჭ-ოხ-10000 – გავლის შემდეგ, რომელსაც შეესაბამება ახ.წ. 4000 წელი, სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ საფეხურზე.

უფიქრობ, აქ მოყვანილი მსჯელობა, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საკმარისი საფუძველია იმისა, რათა ვადიაროთ, რომ **სამყაროში არსებული 14 ანბანიდან სამყაროს ბენედიკტურ კოდს სრულად და უბედობით მხოლოდ ქართული ასომთავრული ანბანი ეძებება** და სამყაროს ყველა საიდუმლო მასში არის ჩატვირთული,

დაუნჯებული, გასაიდუმლოებული, მიძინებული, „დამარხული“, ყველა და ყველაფერი მასშია.

[5] ოთხისა დღისა გეზდარი, ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“

[6] და სახარებასა შინა ქართულისა, თავსა ხოლო მათგ სსა, წერილი ზის, რომელი ასოდ არს და იტყვის ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა და ესე არს ოთხი დღე.

[7] და ოთხისა დღისა გეზდარი, ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲ თა.

ადამ და ევას ცივილიზაციის პერიოდი, რომელშიც ახლა სამყარო იმყოფება და რომელიც 8000 წლის წინ დაიწყო, ქართული ანბანის მიხედვით, რომელიც ამ ცივილიზაციის – ადამ და ევას ცივილიზაციის გენეტიკური კოდია, მოიცავს 10000 წელს, რის შემდეგაც სამყარო გადავა ცივილიზაციის ახალ საფეხურზე.

ცივილიზაციის ეს საფეხური მოიცავს ევას, ქალღმერთ ინანას, იზიდას, ვენერას, აფროდიტას, დალ-დედოფლის, მწუხრის და ცისკრის ვარსკვლავის, ხვთისმშობელი მარიამის და სხვათა ამადლების გზას, რომელიც „ან“-თან ერთად ისევ უნდა დაჯდეს „ზეციურ ტახტზე“.

უძველეს ხალხთა **მითოლოგიაში ჩადებულია აღამიანის და საერთოდ, სამყაროს დაბადება**, მიწიერი ცხოვრება და ამ ქვეყნიდან წასვლა. სწორედ ამ პროცესის ასახვაა შუემერების ქალღმერთ ინანას გზა.

ქალღმერთი ინანა, „დელოვალი ცისა“, „მეუფე ზესკნელისა“, მოისურვებს უფრო მეტ ძალაუფლებას, სურს გახდეს დელოვალი ასევე „ქვესკნელისაც“. ამ მიზნით იგი თავის მამისგან საჩუქრად იღებს „მე“-ს „ხვთაებრივ კანონებს“, რომელიც ამავე დროს არის „ბედისწერის დაფები“, „ციური მადლნი“, აწყობს ზეციურ ნავში, სადაც თვი-

თონაც ჯდება სამეფო სამოსით, ძვირფასი სამკაულებით შემკული და მიემართება „**ძვესკნელის სამეფოში**“, სადაც ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრება მოიაზრება, რომელიც „**სიკვდილის**“ ტოლფასია.

„მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ „ბედიწერის დაფები“, იგივე ქალღმერთ ინანას გენეტიკური კოდია, გენეტიკური გზაა, რომელიც უნდა გაიაროს ქალღმერთმა, ეს იგივე ქართული ანბანია, თითოეული ასო-ნიშანი – „ხვთაებრივი კანონის“ არის კარი „დახურული ტაძრისა“. ქალღმერთი 16-ე „კანონის“ დროს ჩადის „ქვესკნელის სამეფოში“, გაივლის 7 კარს. თითოეული კარის გავლისას, მას ართმევენ სამეფო სამოსს და სამკაულებს. მეშვიდე კარის გავლის შემდეგ გონდაკარგულს, სრულიად გაძარცვულს გადაკიდებენ „კავზე“ – ჯვარზე გააკრავენ. ამ კოსმიურ მომენტს ქართულ ანბანში შეესაბამება 24 - † -ქ-ქან-600 ასო-ნიშნი. (ნოე 600 წლის ჩაჯდა კიდობანში). „მე“-ს ხვთაებრივი კანონებით შეგახსენებთ 7 კარის შესაბამის „კანონთა“ სახელებს: „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“, „გირბადარა“-მზე, „დროშა-გრაალის მომპოვებელი“, „წარღვნა“ და სხვა. ეს მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

„ქებაჲს“ ტექსტში „. . . **ამისთვის მის თანავე დაფლული. . .**“ **მოიაზრება სწორედ ქალღმერთ ინანას დიდი სურვილი და ნება, რომ ბახლუს „ძვესკნელის მეფეზე“ , ანუ „დელოფალი ძვესკნელისაზე“ . ამ მიზნით ის ჩადის „ძვესკნელის სამეფოში“ , შვიდი კარის ბავლის შემდეგ მას ყველაფერი ავიწყდება, ბაპარცვულს, დამცირებულს – წართმეული აქვს ცის დელოფლის „სამოსი“, ბონდაკარგულს – არ ახსოვს წარსული, გადაკიდებენ „კავზე“ – ჯვარზე ბაპარავენ, რაც თავისთავად „სიკვდილს“ ნიშნავს.**

რაც შეეხება სიტყვებს: „4000“, „ოთხისა დღისა მკუდარი“, ათასი ვითარცა ერთი“ და „წ-4000“ ასო-ნიშანს, ამ საიდუმლოს „გასაღები“ შემერ-აქადის ქვის ბეჭდის გამოსახულებაშია, რომელიც მეცნიერებმა ძვ. წ. III ათასწლეულს

მიაკუთვნეს, ინახება ლონდონის მუზეუმში და განთავსებულია მითოლოგიის ენციკლოპედიის წიგნებში. ბეჭედზე აღბეჭდილია ქალღმერთი ინანა ანგელოზის სახით, გაშლილი ფრთებით, მომავალი, გზაშია, მიემართება აღმოსავლეთისკენ – მომავლისკენ, ხოლო სახით ჩვენსკენაა. აგრეთვე გამოსახულია სამი ღმერთკაცი, ხოლო მეოთხე ორსახა ღმერთი, აქვეა ხბო, კურდღელი, არწივი, ლომი, სიცოცხლის ხე. მთლიანობაში ეს სურათი ტოვებს დიდი „ზეციური ნავის“ შთაბეჭდილებას, რომელიც წყალზე მიცურავს.

სურათის გაანალიზებას და ვიწყოებთ მდინარისმაგვარი გამოსახულებით, რომელზეც 6 თევზია ასახული, ეს კი თევზის ზოლიაქოს კოსმიურ პერიოდზე მიგვანიშნებს. ერთი მამაკაცი მდინარის თავშია, მეორე – შუაში, მესამე ბოლოში; სამ-სამი თევზი აქეთ-იქით მიმანიშნებელია იმისა, რომ მათ შორის დროის თანაბარი შუალედებია, ანუ 1000 წელია. აქედან გამომდინარე, პირველი და მეორე მამაკაცებს შორისაც იქნება 1000 წელი. თითოეულ მამაკაცს ქალღმერთ ინანას ქუდი ახურავს. ე.ი. ისინიც ღმერთები არიან. ოთხივე მამაკაცი ამ გზის გავლას ანდომებს 4000 წელს. ე.ი. 4 დღეს („ათასი ვითარცა ერთი“), მაშასადამე, ქალღმერთი ინანაც 4 დღე იქნება „ჯვარზე გაკრული“, ე.ი. „მკვდარი“. აშკარაა, რომ ამ ფირფიტაზე ასახულია ქალღმერთ ინანას მოგზაურობა „ქვესკნელის სამეფოში“, რაშიც „ამქვეყნიური ცხოვრება“ მოიაზრება, სადაც ადამიანებს დავიწყებული გვაქვს საიდან მოვდივართ, საით მივდივართ, არ ვიცით სად ვართ, არ გვახსოვს წინა – წარსული ცხოვრება. ძველი ხალხები თვლიდნენ, რომ ჩვენ კიდობანში, სხეულში-ტურტელში, საწმისში ვართ ჩამჯდარი-ჩამარხული. ის არის ჩვენი სულის ტაძარი. მასში მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი და რთული კოსმიური პროცესები. რა ხდება ჩვენში, რისთვის მოვედით ამქვეყნად, რაში მდგომარეობს ამქვეყნად ცხოვრების მისია, ყველაფერ ამას უძველესი ხალხი კარგად აღიქვამდა და სწორედ ეს პროცესებია



შუამდინარეთი. ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეული.

ასახული მითოლოგიაში.

დაუებრუნდეთ ისევ შუმერ-აქადური ქვის ბეჭდის განხილვას, რომელიც წინასწარმეტყველების ინფორმაციის უსასრულო წყაროა. ამ საკითხებზე რამოდენიმე სტატია მაქვს გამოქვეყნებული და რაც დრო გადის, უფრო მეტ ინფორმაციას წარმოგვიჩენს.

ქვის ბეჭედზე ნავის ერთ ნაწილს ემბაზის სახე აქვს. ქალღმერთი ინანა ანგელოზის სახით დგას ემბაზზე და იქმნება შთაბეჭდილება, რომ უშუალოდ თვითონ ნათლავს II მამაკაცს, რომელიც ემბაზში წელამდე წყალშია. ეს პერიოდი შეესაბამება ახ.წ. 0 წელს - ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პირველმა ღმერთკაცმა მოგზაურობა ინანასკენ დაიწყო ძვ.წ. 2000 წელს, რომელსაც ქართული ანბანის მიხედვით შეესაბამება ასო-ნიშანი „წ-წილ-4000“. მან ქალღმერთ ინანამდე მისვლას მოანდომა 1000 წელი და ძვ.წ. 1000 წელს ემბაზში გაინათლა. ის არის **პირველი ბანათლული**. ასეთივე პროცესი მიმდინარეობს II და III ღმერთკაცების მიმართაც, რომლებიც 1000 წლის ინტერვალით ემბაზში ინათლებიან და ბოლოს **მეოთხე-ორსახა ღმერთი** უკვე 4000 წლის შემდეგ – ეს არის ახ.წ. 2000 წ. მიაღწევს ქალღმერთ ინანამდე, მოხდება მისი ნათლობაც, რაც ქვის ბეჭედზე გამოსახულებიდან ჩანს, ეს გარდაუვალია. **ორსახა ღმერთი მეოთხე ბანათლულია.**

ვფიქრობ, სურათზე გამოსახული ოთხი ღმერთკაცი სამყაროს ოთხი საწყისის ასახვაა. ჩემი აზრით ეს ის მამაკაცებია, რომლებსაც მითების მიხედვით შეხვდა ცხოვრების გზაზე ქალღმერთი ინანა და ერთ-ერთ მათგანზე დაქორწინდა.

ჩემს მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში არაერთხელ ავლნიშნე, რომ მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ხილვები. ცოცხლად ვხედავ ქართული ასო-ნიშნების შესაბამის კოსმიურ სურათებს. რამოდენიმე მნიშვნელოვანი ხილვა ამ

ნაშრომის შესავალ ნაწილშიც წარმოგიდგინეთ. ეს ყველაფერი მეხმარება, რათა უკეთ ჩამოვაცალიბო ის საკითხები, რომლებზედაც თითქმის 25 წელია ვმუშაობ.

როდესაც „ქება“-ს (5) (6) (7) ქვესაკითხებზე დავამთავრე მუშაობა, რამოდენიმე დღე ახალ საკითხზე მუშაობას ვერ ვიწყებდი, რაღაც მაჩერებდა და ჩემი აზროვნება ისევ და ისევ უბრუნდებოდა (5) (6) (7) საკითხებს და პარალელურად შუმერ-აქადის ძვ.წ. III ათასწლეულის ქვის ბეჭედს, რომელიც დამეხმარა ამ საკითხების წარმოჩინებასა და გაანალიზებაში. და აი, ერთ დილას ჩემს აზროვნებაში კვლავ წარმოჩინდა ჩემი ერთი ხილვა, რის შესახებ საუბარსაც თავს უფლებას მივცემ, რადგანაც ეს ხილვა უშუალო კავშირშია ზემოთ აღწერილ ბეჭედზე გამოსახულ წინასწარმეტყველებასთან: დაახლოებით 12 წლის წინათ ჩემთან სტუმრად იმყოფებოდა სამი ახალგაზრდა. ვსაუბრობდით სხვადასხვა საკითხებზე. უცებ საუბრის დროს შემაჩერეს და მთხოვეს სიტყვიერად გადმომეცა ჩემი შეგრძნება. ვგრძნობდი თავზე მდგა დიდი ძაბრის მაგვარი კონუსი, ძაბრის ბოლო შემოსული იყო ჩემს ტვინში. ვგრძნობდი, როგორ მოძრაობდა რაღაც სითხე-ენერგია ძაბრში. თითქოს ეს ენერგია ქმნიდა ძაბრს – ზედა კონუსს. შეხების წერტილიდან ჩემს სხეულში შემოდებოდა სითხის შეგრძნებისმაგვარი რაღაც ენერგია, რომლის დროსაც წყლის „დუშის –შხაპის“ – მორბენალი წყლის წვეთების მიღების მაგვარი შეგრძნება მქონდა. ამავე დროს ნათლად ვგრძნობდი როგორ ივსებოდა ჩემი სხეული ზედა კონუსის ქვედა წვეროდან – შემოსული სითხე უკვე ჩემს სხეულში ქმნიდა ქვედა კონუსს წვეროთი ზემოთ. ქვედა კონუსის სიმაღლე სითხის-მაგვარი ენერგიის შევსებასთან ერთად იზრდებოდა სიმაღლეში წვეროდან ქვემოთ, ე.ი. შევსების სიბრტყე თანდათან გადაადგილდებოდა ზემოთან ქვემოთ და არა ისე, რომელიც დედამიწაზე ფიზიკის კანონს ექვემდებარება, რომ თუ ჭურჭელში სითხეს ზემოთან ჩავასხამთ, იგი ჩავა ფსკერზე

და შევსების სიბრტყე თანდათან აიწვეს ზემოთ. შევსების სიბრტყის ზედა და ქვედა ნაწილებში მოქცეულ ჩემი სხეულის ნაწილაკებს შორის ისეთი განსხვავება იყო, როგორც დღე და ღამე – ეს იყო ცარიელი და სავსე ჭურჭლის შეგრძნება. ნათლად ვგრძნობდი, რომ ჩემს სხეულში, როგორც ჭურჭელში, შემოსული სითხისმაგვარი ენერგიით ვივსებოდი არა ქვემოთან ზემოთ, არამედ შევსების სიბრტყე გადაადგილდებოდა ზემოთან ქვემოთ. ამ სისავსის შეგრძნება დღესაც მაქვს. ვფიქრობ, ამ ორი ენერგეტიკული კონუსების აღქმა, რომლებიც წვეროებით ეხება ერთმანეთს შემთხვევითი არ არის და უადრესად მნიშვნელოვანი ზოგადსაკაცობრიო საკითხია. სწორედ ეს დაედო საფუძვლად სტატიას დღევანდელი ახალი დროშის შესახებ, რომელიც გამოვსაქვეყნე სათაურით „ოქროს საწმისი საქართველოში დაბრუნდა“.

დამაინტერესა, თუ რამ აიძულა ამ შემთხვევის დამსწრე ახალგაზრდები, რომ შემაწვევტინეს საუბარი. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ შემაჩერეს, რა ნახეს და რა გახდა მიზეზი საუბრის ასეთი უცაბელი შეჩერების. მათ მითხრეს, რომ ჩემს თავზე ნახეს „მამაკაცი გადაშლილი წიგნით“. ეს დღე და ეს შეგრძნება, რომელსაც დღესაც აქვს ადგილი, სამუდამოდ დამამახსოვრდა და აი ახლა ჩემი შინაგანი „მე“ მეუბნება, რომ ეს იყო ქვისფირფიტის შესაბამისად „მეოთხე ნათლობის აღქმა“. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ განცდაზე უფრო ადრე მქონდა ხილვა ზეცაში ღრუბლებით, სადაც ჩემი თავი ვიხილე „ორსახა იანუსის“ მზგავსად – საფეთქელთან მიბნეული მქონდა პატარა **მზე**, მეორე სახე იყო თეთრწვერა მამაკაცის, რომელთანაც მივიდა თეთრი ცხენი. ეს საკითხი აღწერილი მაქვს შესავალში – „ცოტა რამ ჩემს შესახებ“ – I ხილვა. აქვე მინდა ავღნიშნო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამთხვევა ჩემი II ხილვიდან – ტაძარში კვერთხი მიბოძა თეთრწვერა მოხუცმა და მითხრა „ანბანს შენ

გაბარებთ, შენ უნდა უპატრონო“. დღესაც თვალწინ მიდგას მისი სახე, რომელიც 10 წლის შემდეგ აღმოვაჩინე ზემოთ აღნიშნულ შუმერ-აქადის ძვ.წ. III ათასწლეულის ქვის ბეჭედზე „იანუსის“ სახით გამოსახული. გაოგნებული ვარ ჩემი ხილვების დამთხვევით. ერთი ნათელია, რომ ყოველივე ეს ბევრს მავალებს, რაც შემდეგში კიდევ უფრო ნათელი გახდება.

მაშასადამე: ქალღმერთი ინანა „ქვესკნელის სამეფოში“ დროში მოგზაურობს აღმოსავლეთისკენ – მომავლისკენ ზეციური ნავით, დგას ემბაზზე და 1000 წლის ინტერვალთა მასთან მისულ ღმერთკაცებს წყლით ნათლავს. ეს „პროტუსია“ **იწყება ძვ.წ. 2000 წელს, რომელსაც შემსაბამება ქართული ანბანის „წ-წილ-4000“ ასონიშანი, ბრძელდება 4000 წელი – 4 დღე (ერთი ვითარცა ათასი) და მთავრდება ახ.წ. 2000 წელს, რომელსაც შემსაბამება ქართული ანბანის ჯ-ჯან-8000 ასონიშანი.** სწორედ ამასთანაა დაკავშირებული „ქება“-ს ტექსტის სიტყვები: „4000 მარაგი“, „4 დღის მკუდარი“ – ქალღმერთ ინანას „ქვესკნელის სამეფოში“ ყოფნაა, სიტყვები „**სიკვდილითა ნათლისღებისა მისისაღთა“ უშუალოდ დაკავშირებულია ქალღმერთ ინანას „ქვესკნელში“ ჩასვლასთან, რომელიც მისი „სიკვდილის“ ტოლფასია. ქალღმერთი ინანა და ორსახა ღმერთი ინანუსი მინიან მზის სამებას.** ეს ხდება თიხის ფირფიტის გამოსახულებების მიხედვით თევზის ზოდიაქოს ბოლოს – ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, რასაც მოჰყვება ქართული ანბანის გაცოცხლება.

„იანუსი“ ორსახა რომაული ხვთაებაა. „ერთი სახე წარსულისკენ მიეპყრო, მეორეთი მომავალს ჭვრეტდა. იგი არის ხვთის კარის ჭიშკრის გამღები, დროთა სვლის – წარსულისა და მომავლის, დასაბამისა და დასასრულის. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ წლის პირველ თვეს მისი სახელი „იანვარი“ ჰქვია. იგი მზისა და სინათლის ღმერ-

თია, ყოველ დილით ცის კარს აღებს, სადამოს ხურავს. პირველ იანვარს – ახალ წელს ნამცხვარს უძღვნიან. ამ დღეს არ შეიძლება ყვირილი, ჩხუბი, ხმაური. „იანუსი“ კეთილი და დამლოცველი ღმერთია.

მნიშვნელოვანია ემბაზში მეორე ღმერთკაცის მარცხენა მხარეზე უკანა თათებზე მდგომი კურდღელი. იგი უშუალო მონაწილეა ნათლობის, მისი „სამოსი“ ტოვებს წყლის ნაკადის შთაბეჭდილებას, რომელიც გამოდის ქალღმერთ ინანას მარცხენა ფრთიდან და ესხმება ემბაზში ჩამჯდარ ღმერთკაცებს. საინტერესოა **კურდღელი** მანაბუში-ნანაბუში-ნაბუს მითოლოგიური სახე. იგი **დაიბადა ქალისაბან, გადაარჩინა აღამიანაბი მსოფლიო წარღვნას, აჩუქა მათ ცეცხლი, შექმნა დამწერლობა, ამზადებს უკვდავების ელექსირს. შემდეგში იგი სიბრძნისა და დამწერლობის ღმერთმა „ტოთმა“ (ტოტ) შეცვალა.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ მითოლოგიურად კურდღელი არის სიბრძნისა და დამწერლობის ღმერთის ტოლფასი, მაშინ მისგან მიღებული „**ნათლობის წყალი**“ **იბივი ანბანის და სავითოდ, კოსმიურ საიღუმლოთა ცოდნის სიბრძნეა, რომლის მფლობელია წყლის ღმერთი და მისი შვილი – ქალღმერთი ინანა.**

ქალღმერთის მოგზაურობა „ქვესკნელის სამეფოში“ არც ქართველებისთვის იყო უცხო. ამის ნათელი მაგალითია სვეტიცხოვლის კედელზე გამოსახული ზოდიაქოს კალენდარი, სადაც წარმოჩინებულია „ქვესკნელ-ზესკნელ-შუასკნელი“. ამ საკითხზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ჩემი ხილვების მიხედვით ეს სურათი არის ფრაგმენტი VII ცის შესაბამისი კოსმიური სურათიდან, რომელსაც ახალი წელთაღრიცხვის III ათასწლეული შეესაბამება. კედელზე გამოსახული ზოდიაქოს კალენდარი ასახვავა დავათის სტელაზე გამოსახული ანბანის და ორივე წარმოადგენს გენეტიკური კოდის ორ სპირალს. ამ საკითხზე გამოქვეყნებული მაქვს არაერთი სტატია. მიმაჩნია, რომ თვით მცხეთის

ზოდიაქოს კალენდარი მნიშვნელოვანია და საინტერესო თემაა მომავალი კვლევისათვის.

[8] და ესე ენაღ შემავალი და კურთხეული სახელითა „ო“~ ისაღთა (უფლისაღთა), მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა ო~ ისასა (უფლისასა).

„ქებაღ“-ს ტექსტში ორი სიტყვა „ო~ ისასა“ და „ო~ ისაღთა“ დაქარაგმებითაა წარმოდგენილი. უძველეს ქართულ ხელნაწერებში სიტყვა უფალი გამოისახებოდა დაქარაგმებული, ანუ შემოკლებული „ო“ ასო-ნიშნით, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვაში „უფალი“ ასო-ნიშანი „ო“ არ შედის. თუმცა სხვა დაქარაგმებული ასო-ნიშნები შემოკლებული ასახვაა მათი მნიშვნელობის ვრცელი სიტყვის. „ო“ დაქარაგმების შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით. მაშინ რასთანაა დაკავშირებული, რომ დაქარაგმებული „ო“ ასო-ნიშანს უფლის სახელი მიაკუთვნეს?! ფიქრობ, ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა ამ საკითხს ნათელს მოფენს. შევეხებით ქართულ ანბანში „ო“ ასო-ნიშნის უპირატესობას, მის უდიდეს კოსმიურ მნიშვნელობას.

ადამ და ევას ცივილიზაციის პირველი ადამიანი იყო თვით „ადამი-ანი“ – ნოე, X პატრიარქი (რატომ X პატრიარქი, ეს საუბრის ცალკე თემაა). ფიქრობ, სახელი „ნოე“ წარმოსდგება მითოლოგიური „ნომმო“-სგან. ნოე, ანუ ნომმოს განიხილავდნენ, როგორც ქალურ საწყისს კიდობანთან დაკავშირებით, რადგან იგი სულის გამატერიალიზებასთანაა დაკავშირებული. ასევე განიხილავდნენ მდედრი სამების ერთ-ერთ წევრად, ღმერთების დედის, მიწისა და ნაყოფიერების უხენაესი ქალღმერთის სახით. შემდეგ დაემსგავსა ევას (ინანა, იზიდა, ხეთისმშობელი მარიამი, ვენერა,

ავროდიტა, დალი, მთიები და ა.შ., იცვლებოდა სახელი დროისა და ადგილმდებარეობის მიხედვით) და გამოისახებოდა ახალ მთვარეზე ფეხზე მდგომი, რომელიც სიცოცხლის ზეციური ნავის („არგხა“ – „არგოს“) სიმბოლოა, გაიგივებულია ნოეს კიდობანთან, სამყაროს შექმნის პირველსაწყის კიდობანთან, საწმისთან, გრაალის თასთან, დაბადებასთან, სადაც ჩადებულია ქალური სიმბოლოები.

სუდანის დაგონების მითოლოგიაში პირველი ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა, იყო „ნომმო“. მასში ჩადებული იყო როგორც მდედრი, ასევე მამრი საწყისი. შემდეგ ის გამრავლდა და მივიღეთ ოთხი ნომმო (აქ მოიაზრება სამყაროს ოთხი საწყისი): „ნომმო-დი“, „ნომმო-ტიტიანი“, „ნომმო-ოგო“ და ნომმო-„ო“. **სამყაროს ბანწმენდისთვის საჭირო გახდა ერთ-ერთი ნომმოს მსხვერპლად შეწირვა. ღმერთმა მაინცაღამაინც „ო“ ნომმო შეარჩია. მისი „აღგზომის“ შემდეგ სამყარომ მიიღო მისთვის დამახასიათებელი „სივრცითი-ღრობითი“ ხასიათი და ციურება მნათობება დაიწყო თავისი მოძრაობა. სამყაროს შემდგომი განვითარებისთვის უკვე „თუსლი“ გამოიყენა, რომელიც „ო“ ნომმოს მიერ აგებული პილობანში აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ კიდობანში მოიაზრება მთლიანი სამყარო. დაბონები სამყაროს შექმნას ორ ეტაპად, ორ საფეხურად ყოფენ:**

- 1) ღმერთის მიერ პირველი ადამიანის – „ო“ ნომმოს შექმნა, მორიცავს წარღვნამდე პერიოდს.
- 2) „ო“ ნომმოს და თუსლის მიერ დანარჩენი სამყაროს შექმნა, მორიცავს წარღვნის შემდგომ პერიოდს.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია და თვალნათლივანა წარმოჩინებული ქართულ ასომთავრულ ანბანში, როგორც გზა სამყაროს განვითარებისა კოდის მიხედვით. სწორედ ეს არის ის დიდი მინიშნება იმაზე, რომ **ქართული ანბანი ღმერთის მიერაა შექმნილი და არ შეიძლება მისი შემო-**

ქმელი ჩვეულებრივი მიწიერი ალაშიანი იმოს. ქართულ ასომთავრულ ანბანში გვაქვს ასო-ნიშანი **ქ**-ვი, რომელსაც არა აქვს რიცხვითი მნიშვნელობა, ე.ი. მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის ნული. ერთი შეხედვითაც კი ვრწმუნდებით, რომ ასო-ნიშანი **ქ**-ვი ანბანს ყოფს ორ ნაწილად – ორ საფეხურად:

1) ქართული ასომთავრული აბანის 1-21 ასო-ნიშნები

ბი ქმნიან პირველ – წარღვნამღელ საფეხურს.

ეგვიპტის ტაროს არკანების მიხედვით, რომელიც არის უძველესი კოსმიური ცოდნა ანბანის შესახებ, პირველი საფეხური მიეწერება სამყაროს განვითარების სულიერ ეტაპს. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ შუმერების ქალღმერთი ინანა 16-**Q**-**ო**-**ონ** კოსმიურ პერიოდში ჩადის „ქვესკნელის სამეფოში“. ეგვიპტის ტაროს არკანებით 16-ე არკანი (საიდუმლო) „მე“-ს „ხვთაებრივი კანონებით“ არის 16-ე კანონი – „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“, რომელიც „სიკვდილის“ ტოლფასია. ამ მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ 16-**Q**-**ო**-**ონი** იგივე ქალღმერთი ინანაა, დაგონების „**ო**“ ნომოა (ნოე). მაშასადამე, მსოფლიოს უძველეს ხალხთა ცივილიზაციის მითოლოგია აღნიშნავს, რომ **ქართული ანბანის „ო“ ასო-ნიშანი კოსმიურად იბივე „ო“ ნომოა**, რომლის სახელი წარღვნასთანაა დაკავშირებული, იგივე შუმერების ქალღმერთი ინანაა, მფლობელი „ბედისწერის“ დაფების, ანუ „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“, რომლის გენეტიკური კოდირებული გზა ქართული ასომთავრული ანბანია. „ქებაა“-ს და უძველეს ქართულ ხელნაწერებში უფალი მოიხსენიება „**ო**“ ასო-ნიშნით, ამავე დროს არის დედოფალი-დედუფალი ცისა და მიწის, სამყაროს დედა, იბერიის ხეთისმშობელი, ქართული ანბანის მფლობელი და იგივე ქართუ-

ქართული ანბანი

ა	ა	ა	a	1
ბ	ბ	ბ	b	2
გ	გ	გ	g	3
დ	დ	დ	d	4
ე	ე	ე	e	5
ვ	ვ	ვ	v	6
ზ	ზ	ზ	z	7
ეე	ეე	ეე	ē	8
თ	თ	თ	t	9
ი	ი	ი	i	10
კ	კ	კ	k	20
ლ	ლ	ლ	l	30
მ	მ	მ	m	40
ნ	ნ	ნ	n	50
ო	ო	ო	j	60
პ	პ	პ	o	70
ჟ	ჟ	ჟ	p	80
რ	რ	რ	ž	90
ს	ს	ს	r	100

შ	შ	შ	s	200
ჩ	ჩ	ჩ	t	300
ც	ც	ც	y	
ძ	ძ	ძ	u	400
წ	წ	წ	p	500
ჭ	ჭ	ჭ	k	600
ხ	ხ	ხ	x	700
ყ	ყ	ყ	q	800
ღ	ღ	ღ	š	900
ვ	ვ	ვ	č	1000
გ	გ	გ	c	2000
დ	დ	დ	z	3000
ე	ე	ე	ç	4000
ვ	ვ	ვ	č	5000
ზ	ზ	ზ	x	6000
თ	თ	თ	q	7000
ი	ი	ი	ž	8000
კ	კ	კ	h	9000
ლ	ლ	ლ	ω	10000

ლი ანბანია.

- 2) **0**, ანუ **22** ტაროს არკანებით განიხილება ერთად, ერთ კოსმიურ ქმედებაში, მაგრამ ამავედროულად გვეუბნებიან, რომ „22 არკანი გამომდინარეობს 0 არკანიდან“. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ **0** არკანს განიხილავენ ცალკე – 21 და 22-ს შორის და ამავედროულად, 22-ე არკანთან ერთად. თუ რატომ? ეს იცის ქართულმა ასომთავრულმა ანბანმა. შუმერების „მე“-ს „ხეთაებრივი კანონების“ ჩამონათვალში 22 წარღვნაა, ხოლო ქართულ ასომთავრულში მას შეესაბამება 22-**Q**ქ-უ. იგი შედგება 16-**Q**-ო-ონ და **ქ**-ვი ასო-ნიშნებისაგან, რომელიც ამავედროს ითვლება ნულოვან კოსმიურ პროცესად – ნულოვან არკან – „საიდუმლოდ“. ასევე არის სიცოცხლის საწყისი „დერიტა“ – „თესლი“ და მას დაგონები უწოდებენ „პა“-ს. ასეა ტიბეტის მითოლოგიითაც. შუამდინარული ცივილიზაციის აზროვნებით „პაპა“ ნიშნავდა „ღმერთის ნაცვალს დედამიწაზე“. მაშასადამე, დღესაც ამავე დიდი მნიშვნელობით მოიაზრება რომის „პაპა“-ს ეს სახელი. აი, თურმე საიდან მოდის ქართველების მეტყველებაში დიდი წინაპრის – „პაპა“-ს სახელი. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია. სიტყვაში „პაპა“ ქართველი ხალხი უძველესი დროიდან მოიაზრებდა სიცოცხლის პირველსაწყისს, უძველეს წინაპარს – „ღმერთის ნაცვალს დედამიწაზე“. სიტყვა „პაპა“ ჩემს აზროვნებაში ასოცირდება სიტყვასთან „ორჯერ სიცოცხლის საწყისი“, ანუ „ორჯერ დაბადებული“, პირდაპირ კავშირშია „მეორედ მოსვლასთან“ და „აღდგომასთან“. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

მაშასადამე, **გამოსახულება Qd, რომელიც არის ქართული ასომთავრული 22-„შ“ ასო-ნიშანი, ასახავს სამყაროს ღმრის და საწყისი კოსმიური „ღვრიტას“ ერთობას.** ეს ის კოსმიური მომენტი, რომელსაც მიეწერება მატერიალური-მიწიერი ცხოვრების საფეხურის საწყისი კოსმიური მდგომარეობა და ამავე დროს არის ქალღმერთ ინანას „ქვესკნელში“ მოგზაურობის 7 „კარიდან“ ერთ-ერთი – „წარღვნა“.

Q-ო და d-ვი ორივე ერთად 22-Qd-უ წარმოადგენს „ო“ ნომმოს კიდობანს. ვფიქრობ, ეს კოსმიური მომენტი ასახეა ადამიანის, როგორც სამყაროს, ჩასახვის მომენტი, ანუ „დაბადება“. ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ნათელს ხდის იმ საიდუმლოს, თუ რატომაა ქართულ ასომთავრულ ანბანში 22-„შ“ ასო-ნიშანი ორი 16-Q-ო-ონი და d-ვი ასო-ნიშნებით გამოსახული, სადაც ერთი არის „მდედრი საწყისი“, ხოლო მეორე კოსმიური „ღვრიტა“ – კოსმიური „თესლი“, რომელიც აღმოჩნდა „კიდობანში“. ამასთანავე, მითოლოგიის მიხედვით შუმერების ნოემ – ზიუსუდრამ წარღვნის დროს გააღო კიდობნის სარკმელი და „უთუ“ მზის ღმერთის წინაშე „განერთხა და თაყვანი სცა“. როგორც დაერწმუნდით, **შპველუს ხალხთა მითოლოგია მთლიანად და სრულად ემბედა ასომთავრულ ანბანს, როგორც სამყაროს ბენეტიკურ კოდს.**

მაშასადამე: შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონებით“ 22-„წარღვნა“ დაკავშირებულია ქართული ანბანის 22-„უ“-სთან რომელიც შუმერების მითოლოგიით არის „ქვესკნელის“ მზის ღმერთი „უთუ“. ამასთანავე, **22- Qd-უ ერთადერთი ასო-ნიშანია, რომელიც გამოსახედა ორი ასო-ნიშნით, მასთან ერთი არის „ო“ ნომმო-უზალი, ნაყოფიერების ძალღმერთი, ხოლო მეორე – საწყისი კოსმიური „თესლი“-„ღვრიტა“, რომელიც კიდობანში მოხვდა „სამყაროს შემდგომი განვითარებისთვის“.**

უზალი – უზენაესი ღმერთი, ვფიქრობ, ფალოსური კულტის უამინდელი ძველი ქართული სიტყვაა და ნაყოფიერების ღმერთის, ქვეყნის შემოქმედის კულტთანაა დაკავშირებული. „უ-ფალოს“ – ქვეყნის შემოქმედი ნაყოფიერების ღმერთი ქართველთა მითოლოგიით ჭექა-ქუხილის ღმერთი „ლაზარე“ დედოფალი, პირიმზე და მზეა (ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ). ამ რიტუალიდან დედოფალს „სარტყელიდა“ შემორჩა და საერთოდ, სარიტუალო „სარტყელი“ ვფიქრობ, ჭექა-ქუხილის და ნაყოფიერების ღმერთთან არის დაკავშირებული. სვანურ ენაში „ელვაჲ“ მზეს ნიშნავს. **ქართულ მითოლოგიაში „მზე“ მდედრობითი სქესის ხვთაებაა, რაც კალიან იშვიათია და ქართველთა აზროვნების უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს.**

3. ქართული ანბანის 23-37 ასო-ნიშანი მოიცავს „ო“ ნომმოსა და თესლის მიერ დანარჩენი სამყაროს შექმნას. მას შეიძლება ვუწოდოთ „**წარღვნის შემდგომი პერიოდი**“, ანუ „მიწიერი ამქვეყნიური“ ცხოვრება.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, **ქართული ასომთავრული ანბანი ასახვას ღილი კოსმიური პროცესის, რომელიც მოიცავს როგორც „წარღვნამდე“ სამყაროს, ასევე სამყაროს „წარღვნის შემდეგ“.**

მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგია თითქმის ერთნაირია, მხოლოდ სახელებშია სხვაობა. ერთნაირია მათში ჩადებული კოსმიური პროცესების აღქმა. ჩემს ნაშრომებში ვცდილობ მოვიძიო და წარმოვაჩინო მითოლოგიაში არსებული საერთო შტრისები. აქედან გამომდინარე, ქართულ ანბანს ვაანალიზებ მსოფლიოს უძველეს მითებზე დაყრდნობით, რომელიც ძირითადად ასახვას ადამიანის, როგორც სამყაროს შექმნის, დაბადების, მიწიერი და სულიერი ცხოვრების, ხილული და უხილავი სამყაროს, მიწისა და ცისა და რაც არის მათ შორის. ეს არის სამყაროს ცივილიზაციის გზა, რომელიც აისახება ქართულ

ასომთავრულ ანბანში, როგორც ღმერთის ბუჭედი, სამყაროს გენეტიკური კოდი.

მსოფლიოსთვის უძველესი დროიდანაა ცნობილი „ტაროს“ არკანები – ეგვიპტელთა საიდუმლო ცოდნა ანბანის შესახებ. ამ საკითხს არაერთი სტატია მიუძღვენი. **ტაროს რებორც უზროს, ისე უმცროს არკანთა სისტემას მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართული ასომთავრული ანბანი ეკვება ზუსტად და სრულყოფილად.**

სიტყვა „ტარო“-ს მნიშვნელობა დღემდე უცნობია და თვლიან, რომ იგი ნიშნავს „მთავართა გზას“. სიტყვა „ტარო“ შედგება ორი ნაწილისგან, სადაც „ტარ“ არის ქართული ანბანის 21-ტ-ტარ ასო-ნიშანი და ახლოს დგას სიტყვებთან „ტარება-სიარული-გზა“. როგორც ეგვიპტის ტაროს არკანების, ასევე შუმერების „მე“-ს ხვთაებრივი კანონებით იგი არის 21-„დროშა“, „გრაალის მომპოვებელი“. ხოლო „ო“ – იგივე „ო“ ნომმოა, უფალი, ქალღმერთი ინანა, ხვთისმშობელი მარიაში, იბერიის ხვთისმშობელია. მაშასადამე, **ქართული ანბანის მიხედვით სიტყვა „ტარო“ ქართული წარმოშობისაა და ნიშნავს „უფლის გზას“ – „მთავართა გზას“.** „ტაროს“ რებორც უზროს, ისე უმცროს არკანთა ჯგუფი მორიცხავს მთლიანად „უფლის გზას“, ადამ და ევას ცივილიზაციის მთლიან კონსტიტუციურ ბენეტიკურ პრინციპს.




„დაო“ ჩინეთის დიდი რელიგიაა. ვფიქრობ, სიტყვა „დაო“ ქართული წარმოშობისაა და ამავე დროს დაკავშირებულია სამყაროს ოთხ საწყისთან, შუმერების ქალღმერთ ინანასთან და მის სამ „დასთან“ (სულ ოთხი „და“). სიტყვა „და-ო“ მიმანიშნებელია ერთ-ერთი „დის“ – სამყაროს პირველსაწყისისა, შუმერების ქალღმერთი ინანაა, დაგონების „ო“ ნომმოა, იბერიის ხვთისმშობელია, შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ და ეგვიპტური ტაროს არკანების „მფლობელია“. ფილოსოფიური გაგებით „დაო“

არის „გზა ერთიანი ღმერთისკენ“, „ყველაფერი მისგან იბადება და მასში ბრუნდება“, „ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია“, „გამგებელი ძალთა“, რაც მართავს სამყაროს, პირველქმნილი სული. ეს არის ძალა, რომელიც ხილვად მოძრაობაში წარმოგვიდგება. „ღაო“-ს კოსმიურ მნიშვნელობაზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი.

„ღაო“-ს ფილოსოფიით ჩინელები სამყაროს ქმედებას 6 ხაზით გამოსახავდნენ, რომელიც 64 ჰექსაგრამით არის ცნობილი. ეს არის ასახვა ნათელი – „ან“ და ბნელი – „ინ“ ძალების უსასრულო ჰარმონიული ქმედების.

რა შეხება აქვს „ღაო“-ს ფილოსოფიას ქართულ ანბანთან?!

ყველასათვის ცნობილია სოფ. დავათში აღმოჩენილი სტელა ქართული ასომთავრული ანბანით. თვით ამ სოფლის სახელი „დავათი“ ადრე „დაოთი“ იყო, რაც დაკავშირებულია „დაო“-სთან. სიტყვიდან „დაო-თი“, „თი“ კუთვნილებითი ნაწილაკია. აქვეა სოფ. ზემო ჩინთი და ქვემო ჩინთი. სოფ. დავათის ხეთისმშობლის ეკლესიაში აღმოჩენილ სტელაზე ქართული ასომთავრული ანბანი 6 ხაზზეა განლაგებული (7-6-5-7-6-5 და ბოლოს ცალკე მდგომი 37-ჭ-ოხ-ოჰ), ხაზები ჩაზნექილ-ამოზნექილია და ამავე დროს სპირალის ფორმას ემზგავსება. ჩემს თვალწინ ეს გამოსახულება დატრიალდა, გამოსახულებები დალაგდა და მიიღო „ინ“ და „ან“ (იან) ნათელ და ბნელ ნახევარწრეებად შექმნილი „დაო“-ს სიმბოლური სახე, რომელიც „დაო“-ს რელიგიის დამაარსებელს – ლაო-ძის უკავია ხელში. სტელაზე წარმოჩინებულია ერთადერთი ციფრი 5320, რომელიც ძვ.წ. 680 წელს გვაძლევს (ახ.წ. დასაწყისს შეესაბამება 6000 წელი) და ემთხვევა ლაო-ძის მოღვაწეობის პერიოდს. ვფიქრობ, სწორედ ძვ.წ. 680 წელი არის სტელას შექმნის თარიღი. ამავე დროს მასზე ადამიანთა გამოსახულებები თავისი ჩაცმულობით და იკონოგრაფიით არ არის ქრისტიანული და ემთხვევა შუმერ-აქადის და ძველი ეგვიპტის იკონოგრა-



გენეტიკური კოდის
ორი სპირალური დავათის
სტელას მიხედვით

ფიას. (ამ საკითხზე არა ერთი სტატია გამოვაქვეყნე). სტელას 6 ხაზზე გამოსახული ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდის ორ სპირალს ასახავს. **ქართველები უკველუს ღრუში სამყაროს ქმედებას არა მხოლოდ ეჭვისი ხაზით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე ბანალაბებდნენ ასო–ნიშანთა ბარკვეულ რაოდენობას და ბარკვეულ ასო–ნიშნებს.**

ჰექსაგრამა, რომელიც შეესაბამება სტელაზე გამოსახულ ქართული ასომთავრული ანბანის კოსმიურ პროცესს, არის 3 მთლიანი და 3 წყვეტილი ხაზი, რომელიც გვაძლევს ჰექსაგრამას „**π**“ – „დაცემა, დაქვეითება, დაკნინება, დამცირება“. რაც შეესაბამება ეგვიპტის ტაროს 16-ე არკანს, რომლის შესაბამისი კოსმიური ქმედებებია „ჩამოგდება, ჩამოქვეითება, სიკვდილის წინა აგონია“ და შუმერების „მე“-ს 16-ე „კანონს“, რომლის შესაბამისი ქმედებებია „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“, რაც „სიკვდილის“ ტოლფასია. როგორც ვხედავთ დავათის სტელაზე ასახული **ჩინეთის ჰეჰსაბრამა-π, შუმერის 16-ე „კანონი“ და ებვიპტის 16-ე არკანი კოსმიური ქმედებით ერთია, გამოსახავს ქართული ასომთავრული ანბანის 16-ო-ონ-უფლის, ქალღმერთ ინანას, იბერიის ხვთისმშობლის, „ღა“ „ო“-ს „ქვესკნელის სამეფოში“ ჩასვლას და მისი მოგზაურობის საწყის კოსმიურ მომენტს – პროცესს. ამას ისიც გვიდასტურებს, რომ სტელა ნაპოვნია ხვთისმშობლის ეკლესიაში და მასზე გამოსახულია ხვთისმშობელი ყრმით.**

ჩინელები სამყაროს გენეტიკურ კოსმიურ ქმედებას 6 ხაზით გამოსახავდნენ, იკითხება ქვემოთან ზემოთ, სულ 64 ჰექსაგრამა ასახავს მთლიანად სამყაროს ცივილიზაციის კოსმიურ პროცესს, რაც დღეს მეცნიერებმა საფუძვლად დაუდეს ადამიანის და საერთოდ, სამყაროს გენეტიკურ კოდს.


პირველი ჰექსაგრამის შესაბამის იეროგლიფში შედის ქართული ასომთავრული ანბანის **ტ**-ა-ან ასო-ნიშანი,

ხოლო 64-ე ჰექსაგრამის შესაბამის იეროგლიფში, რომლის კოსმიური ქმედებაა – „ჯერ კიდევ არ არის დასასრული“, შედის ასომთავრული X-ჯ-ჯან ასო-ნიშანი (ადრე ქართული ანბანი „ჯ“ ასო-ნიშნით მთავრდებოდა). როგორც ვნახეთ, **ქართული ანბანი უშუალო კავშირშია „დაო“-ს ფილოსოფიასთან**. დავათის სტელა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ქართული ანბანი ხვთისმშობლის კუთვნილებაა, მასშია დამარხული, დაფლული და გასაიდუმლოებული გენეტიკური კოდის – ღმერთის მიერ დაკანონებული ცივილიზაციის გზა – „უფლის ჩანაფიქრი“.


„ქებაჲ“-ს წინასწარმეტყველების შემდეგ სიტყვებში: „და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა ოჲ ისაჲთა (უფლისაჲთა)“ მოიაზრება შემდეგი: „უფლის სახელი არის „ო“ და ქართულ ასომთავრულ ანბანში ნათლადაა წარმოჩინებული 16-ო-ონ ასო-ნიშანი. საერთოდ, ქართული ანბანი არის „ო“ ნომოს – უფლის, ქალღმერთ ინანას, იბერიის ხვთისმშობლის ცივილიზაციის გზა, მისი გენეტიკური კოდი.

უფალი „ო“ ასო-ნიშნის სახით „ქებაჲ“-ს ტექსტში რამოდენიმეჯერაა წარმოჩინებული:


1. „ქებაჲ“-ს ტექსტში მნიშვნელოვნადაა გამოსახული ერთადერთი ასო-ნიშანი ო-დ-დონ-„დო“-4, რაც მუსკალურობის მიხედვითაც პირველსაწყისია, რაც შექმნა „პირველმა



ჰექს. №1
(იეროგლიფი)



ჰექს. π



ჰექს. №64
(იეროგლიფი)

სამმა“. როგორც შუემრების „მე“-ს ხვთაებრვი კანონებით, ასევე ეგვიპტის ტაროს არკანებით იგი არის „სამეფო ტახტი“, **ᄒ**-დ-დონ-4 ნიშნავს ამავე დროს „მზეს“. „მეოთხე ასო-ნიშანი ასტროლოგიურად მეოთხე ცას, მზის ცას განეკუთვნება“, საქართველოში მზე უძველესი დროიდან მდედრობით ხვთაებად მოიაზრებოდა. მაშასადამე, **ᄒ**-დ-დონ-4 არის მზის ქალღმერთის **ᄒ**-ონ უფლის „სამეფო ტახტი“. ტექსტში **ᄒ** ასო-ნიშნის ანსაკუთრებულად წარმოჩინება მიმანიშნებელია „სამეფო ტახტის მობრძანების წინასწარმეტყველებაზე და ამავე დროს გვეუბნება, რომ „ქებად“-ში ჩადებული წინასწარმეტყველება ძირითადად ეხება „სამეფო ტახტზე“ მჯდომის მობრძანებას, სადაც უშუალოდ „**ᄒ**“-უფლის ქალღმერთ ინანას, იბერიის ხვთისმშობლის მობრძანება მოიაზრება.

2. ქართული ანბანის 16-**ᄒ**-ო-ონ ასო-ნიშანი ეს ის კოსმიური პერიოდია, როცა ქალღმერთი ინანა ჩადის „ქვესკნელის სამეფოში“. იგი არის დედოფალი ცისა და სურს გახდეს „დედოფალი ქვესკნელისაც“. „**ᄒ**“ უფალი იგივე „**ᄒ**“ ნომმოა, იგივე ქალღმერთი ინანა და იბერიის ხვთისმშობელია.

3. ქართული ანბანის 22-**ᄒ**-უ ასო-ნიშანი, რომლის კოსმიური ქმედებაა „წარღვნა“ და ამავე დროს არის „**ᄒ**“ ნომმოს კიდობანი და მასში მოთავსებული კოსმიური „თესლი – დვრიტა“, რომელიც კიდობანში მოხვდა სამყაროს შემდგომი განვითარებისათვის. „**ᄒ**“ - ნომმო, იგივე „**ᄒ**“ - უფალი ნაყოფიერების ქალღმერთი, ქალღმერთი ინანა, იბერიის ხვთისმშობელია, რომელიც მოაგვინა ღმერთმა სამყაროს „განწმენდისთვის“. 22 – „წარღვნასთანაა“ დაკავშირებული შუემრების მზის ღმერთის – „უთუ“-ს სახელი, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ 22-ე გენეტიკურ კოდში – ქართულ ანბანში აუცილებლად არის „უ“ ასო-ნიშანი. თვით სიტყვა – „უთუ“ მიგვანიშნებს მზის „ორჯერ

დაბადებაზე“, „მეორედ მოსვლაზე“, „ადღგომაზე“.

4. ქართული ანბანის მიხედვით „ო“ – უფალი, „ო“ – ნომმო, ქალღმერთი ინანა, იბერიის ხვთისმშობელი გენეტიკური კოდირებული გზის გავლის ბოლოს ქართული ასომთავრული ანბანის მიხედვით აღწევს 37-ოხ-„ო“ დიდის (ომეგა) კოსმიურ მდგომარეობას, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ თუ ქალღმერთი ინანა იყო მხოლოდ „ო“ – უფალი“, ბოლოს ის ხდება „ო“ „დიდი“, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალღმერთი ინანა, იბერიის ხვთისმშობელი ხდება „დედოფალი ქვესკნელისა“, ამავე დროს იბრუნებს „ცის დედოფლის“ გვირგვინს, სამოსს და სადედოფლო სამკაულს, „სამეფო ტახტს და „ან“-თან ერთად ჯდება სამეფო ტახტზე. აქვე მინდა შევნიშნო, რომ უძველეს ქართულ ხელნაწერებში 37-ჭ-ოხ-ოჰ ასო-ნიშანი იხმარებოდა „ო“ ასო-ნიშნის ადგილზე.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობა **წარმოაჩენს ქართულ ანბანში „ო“ ასო-ნიშნის უპირატესობას, მთლიანად ბასღმვს ქართულ ანბანს და შემგვიძლია ვაღიაროთ, რომ „ო“ არის მთავარი, ღერძული, პირითადი ასო-ნიშანი, მფლობელი ქართული ანბანისა.** თითოეული ასო-ნიშანი არის სხვადასხვა გამოხატულება სამყაროს წრებრუნვის კოსმიური პროცესისა, გენეტიკური ჯაჭვია, რომელიც იგივე „ო“ ნომმოს ცივილიზაციის გზაა.

მაშასადამე: **ქართული ანბანის „ო“ ასო-ნიშნის კონსტიტუცია არის სამყაროს ბენედიქტური ღერძი, რომელზეც აგებულია – „აშენებულია“ სამყარო.** ამაშია ანბანში „ო“ ასო-ნიშნის უპირატესობის არსი. თვით ქალღმერთი იზიდას, რომელიც ამავე დროს ქალღმერთი ინანა და იბერიის ხვთისმშობელია, თავზე ადგია სამი „ო“ ასო-ნიშნისაგან შედგენილი გვირგვინი, რაც მდებრი სამების გვირგვინია და ამავე დროს მიმანიშნებელია იმისა, რომ თვითონ არის „ო“ უფალი.

ჩემს ხილვებში სამყაროს დიდი დედა, ყოვლის მფობელი, იბერიის ხვთისმფობელი ახ.წ. III ათასწლეუ-

**ლის შესაბამის წრებრუნვის კოსმიურ სურათში იკავებს
მამის მარჯვნივ ძრისტეს ადგილს, ხოლო ხვთაებრივი
ბავშვი განთავსდა დედის გულის ადგილას.**

**„ქებაღ“-ს ტიქსტის შემდეგ სიტყვებში: „მდაბალი
და დაწუნებული, ვშიძრობ, მოიაზრება ქალღმერთ ინან-
ას „ძვესკნელის სამეფოში შთასვლა“, რაც მიწიერ ცხ-
ოვრებას გულისხმობს, თან მიაქვს „მე“-ს ხვთაებრივი კანონ-
ები, იგივე – „ბედისწერის დაფები“ და „ციური მადლი“,
ჩატვირთა ზეციურ ნაგში და გაემართა „ქვესკნელის“ სამე-
ფოსკენ. როგორც ეგვიპტის ტაროს 16-ე არკანის, ასევე
შუმერების „მე“-ს 16-ე კანონის და დავათის სტელას ანბა-
ნის შესაბამისი ჰექსაგრამის კოსმიური ქმედება ერთი და
იგივეა და აღნიშნავს ქალღმერთის – „ცის დედოფლის“
„ქვესკნელის სამეფოში შთასვლას“, რომელიც ხასიათდება
შემდეგნაირად: „დაცემა, დაქვეითება, დაკნინება, ჩამოგდება,
დამცირება, სიკვდილის წინა აგონია“, რომელიც სიკვდილ-
ის ტოლფასია. ამასთანავე, 16-ე კარის გავლის შემდეგ შვი-
დი კარი უნდა გაიაროს, თითოეულ კარში მას ართმევენ
სამეფო სამოსს და სამკაულს; ბოლოს, მეშვიდე კარის გავ-
ლის შემდეგ სრულიად დამდაბლებულს, გაძარცვულს, დამ-
ცირებულს, დაკნინებულს, დაუწუნეს დედოფლობა და მი-
წიერ სამყაროში არ მიიღეს როგორც დედოფალი, მაშ-
ინვე არ უბოძეს „ქვესკნელის დედოფლის“ გვირგვინი,
არაფრად ჩააგდეს და ისე მოექცნენ, როგორც ჩვეულებრივ
მოკვდავს – გონდაკარგული, მძინარე გადაკიდეს კავზე –
ჯვარზე გააკრეს. დავიწყებული აქვს, თუ ვინ არის და
საიდან მოვიდა. მისი ეს მდგომარეობა სიკვდილის ტოლ-
ფასია. „ქებაღ“-ს სიტყვებში – „მდაბალი და დაწუნებუ-
ლი“, ქალღმერთის ზემოთ აღწერილი მდგომარეობა მოიაზ-
რება.**

**„ქებაღ“-ს ტიქსტის შემდეგი სიტყვები: „მოელის
დღესა მას მეროდ მოსლვასა უფლისასა – ო~ისასა“**

მოიაზრება შემდეგი: „დამარხული, მძინარე, ოთხი დღის მკვდარი, მდაბალი და დაწუნებული“ ქართული ენა მოეფლის „ო“ უფლის „მეორედ მოსლვას“, რათა „მეორედ მოსვლასთან“, ანუ „აღდგომასთან“ ერთად მოხდეს ქართული ენის და ანბანის „გაცოცხლება“.

ზემოთ არაერთგზის მსჯელობის შემდეგ შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ შუემრების ქაღალმერთი ინანა, იგივე იზიდა, ვენერა, აფროდიტა, მწუხრის და ცისკრის ვარსკვლავი, ნაყოფიერების და ჭექა-ქუხილის ღმერთი „ლაზარე“, დაღდელოვალი, იბერიის ხვთისმშობელი, იგივე ქართული ენა და ქართული ანბანია. ქართული ანბანი მასშია, როგორც გენეტიკური კოდი და „ო“ ნომოს – „ო“ – უფლის „მეორედ მოსვლასთან“, „მკედრეთით აღდგომასთან“ ერთად ოთხი დღის – 4000 წლის „მკუდარი“ ქართული ენა და ქართული ანბანი „მდაბალი და დაწუნებული“ მეორედ მოსვლის ჟამს იბრუნებს „ცის დედოფლის“ გვირგვინს და ამავე დროს ხდება დედოვალი მიწისაც.

უძველეს ხალხთა აზროვნებაში სიკვდილისა და შემდეგ მკედრეთით აღდგომის საკითხი საკმაოდ ძლიერი იყო. რათა მოგვეცეს უფრო ნათელი წარმოდგენა „მეორედ მოსვლის“ შესახებ, საკმარისია გავეცნოთ უძველესი ეგვიპტის აზროვნებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ეგვიპტის პირამიდაში „მეფის სიმშვიდე“ არის წმიდათაწმიდა საკითხი. იგი უნდა ჩასულიყო სარკოფაგში, რომელიც განასახიერებს მზის ღმერთს, სიცოცხლის შემოქმედ სხივს, რომელსაც ბუნების წიაღში შეაქვს ნაყოფიერების ენერჯია. იგი სიმბოლოა სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის აღდგომისა, რომელიც არის „წარმოსახვითი სიკვდილი“.

ზარაონის „წარმოსახვითი სიკვდილი“ ბრძანდება ბოლა ორ დღეს, რის შემდეგაც მისამე დილას, უკანასკნელი ღამის შემდეგ, რომლის დროსაც იგი გადის სას-

ტიკ განცდას, **აღღებოდა მზის ამოსვლასთან ერთად, მაშინ იბი წარმოადგენდა მზეს**, ყოვლად სიცოცხლის მომნიჭებელ მნათობს. სარკოფაგი იყო ქალური საწყისი, ასე იყო ეგვიპტეში. მიცვალებულს აწვენდნენ ოქროს სამკუბოში, თითოეულზე გამოსახული იყო ფარაონი, ხოლო მეოთხე თვითონ მიცვალებულის სხეული (დაკავშირებულია სამყაროს ოთხ საწყისთან). სარკოფაგის ფორმა და ზომა იცვლებოდა ყველა ქვეყანაში, მაგრამ ის რჩებოდა სიმბოლური „ზეციური ნავისა“ – „არგხა“ – „არგოს“, კიდობანის, საწმისის, ეტლის სახით, რომელშიც გაცხადებული იყო სიცოცხლის ჩანასახი.

ინდოეთში ადამიანები, რომელთაც სურთ გახდნენ ბრამინები, „დვი-ჯა“ – დაბადებული ხელმეორედ, უნდა გაიაროს „ოქროს ძროხაში“, რომელიც განასახიერებს სამყაროს, ე.ი. ნიშნავს „მეორედ დაბადებას“, რომელიც **სიკვდილიდან მისამე ღვთს აღღებდა**.

სიტყვა „დვი-ჯა“ ნიშნავს – ორჯერ დაბადებული უზენაესი კასტიდან (ქვეყნიერების მთავართა ოჯახიდან), რომელმაც მიიღო კურთხევა-ხელთდასმა – მეორე სულიერი დაბადება, სულიერი აღდგომა.

თვით სიტყვა „დვი-ჯა“ შედგება ორი ნაწილისაგან, სადაც „დვი“ ნიშნავს „ორს“, ხოლო „ჯა“-„ჯან“ ასოცირდება სიტყვებთან „ჯანი“ „ჯანმრთელობა“, „ჯანმგარი“, ე.ი. ასოცირდება ადამიანის „მე“-სთან, სხეულთან, ჯანთან. ჩემს ხილვებში ჯ-ჯან-8000 ასო-ნიშნის შესაბამისი წრებრუნვის სურათი არის წმ. გიორგის ხატის გამოსახულება და ამავე დროს განმეორებაა „ი-ინ-10“ ასო-ნიშნის კოსმიური სურათის (ნოე X პატრიარქად მოიხსენიება), ე.ი. ერთხელ უკვე იყო და განმეორდა. ვფიქრობ, „მეორედ მოსვლასთან“, „აღდგომასთან“ „ორჯერ დაბადებულთან ასოცირდება **სიტყვები „ჯორჯი“-„ჯორჯია“, „ბიორბი“ – ბიორბია, რაც ორჯერ დაბადებულს, ხელდასმულს, კურთხეულს ნიშნავს**.

მაშასადამე: **მსოფლიოს უპველეს ხალხთა წარმოდ-**

ბენა „მეორედ“ მოსვლის შესახებ ბგაქლემს იმის საფუძველს, რომ „ო“ უფლის „მეორედ“ მოსვლა უნდა ვიზარაშდოთ „წარმოსახვითი სიკვდილიდან“ ორი დღის შიგდებ მისამე დილას. თუ გაეითვალისწინებთ სიტყვებს – „ათასი ვითარცა ერთი“, აქედან გამომდინარე „ო“ უფლის მობრძანებას უნდა ველოდოთ ორი ათასი წლის შიგდებ, მისამე ათასწლეულის დასაწყისში, მაგრამ საინტერესოა, საიდან უნდა ავითვალოთ ეს ორიათასწლიანი პერიოდი და როდის მოხდება „ო“ უფლის მობრძანება. ვფიქრობ, საბოლოო პასუხი ამ კითხვებზე „ქებად“-ს მომდევნო ტექსტში უნდა ვეძიოთ.

[9] „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი შიგდეს სხუათა ენათა ძრისტეს მოსვლითან ვიდრე დღესამომდე“.

„ქებად“-ს ტექსტის მიხედვით ქართული ენის და ანბანის „გაცოცხლება“, „გამოღვიძება“ „ო“ უფლის. მეორედ მოსვლასთან, აღდგომასთან არის დაკავშირებული. „ო“ უფლის მობრძანების პერიოდზე ორი მინიშნებაა:

1) „ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი შიგდეს სხუათა ენათა“.

ზემოთ უკვე ავლნიშნეთ, რომ ქართული, როგორც „მხედრული“, ასევე „ასომთავრული“ ანბანები ერთდროულად ღმერთის მიერ არის შექმნილი, თვითონ არის ღმერთი და დაფლულია როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყაროში გენეტიკური კოდის სახით.

როგორც „მხედრული“, ასევე „ასომთავრული“ ქართული ანბანი, ერთდროულად ორივე დებულობს მონაწილეობას კოსმიურ პროცესებში. ჩემს ხილვებში ასომთავრული ასო-ნიშნები, მამა ღმერთს თავზე ადგია, ხოლო „მხედრული“ ასო-ნიშნები შუბლზე აწერია. აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება ქართული ანბანით. აქედან გამომდინარე

ევიქრობ, „უმეტეს სხუათა ენათა“-ში მოიაზრება თვით ქართული ანბანები „ასომთავრული“ და „მხედრული“. როცა მათ შორის სხვაობა გახდებოდა „94“, მაშინ დადგებოდა უფლის მობრძანების და ქართული ენის და ანბანის „გამოღვიძების“, „აღდგომის“ უამი. ქართულ ანბანში ცვლილებები ძირითადად XX საუკუნეში განხორციელდა. ქართული ანბანი ასეთი სახით დაალაგა ილია ჭავჭავაძემ, რაც დაემთხვა 1984 წელს აღმოჩენილ დავათის სტელაზე ქართულ ანბანს. დღეისათვის მართლაც ასომთავრული ანბანი ოთხი ასო-ნიშნით მეტია მხედრულ ანბანზე, რომელთა ანბანთრიგის ჯამია „94“. დადგა დრო ქართული ანბანის, ქართული ენის „გაცოცხლების“ და „განდიდების“.

$$\text{Յ} + \text{Չ} + \text{Յ} + \text{Ք} = 8 + 15 + 34 + 37 = 94$$

2) „ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“

„ქება“-ს ტექსტის ეს ნაწილი ნათლად მიგვანიშნებს, რომ აქ ქრისტეს მოსვლაზე კი არ არის მინიშნება, არამედ „ო“ უფლის მობრძანების თარიღია გასაიდუმლოებული, რომელიც „ქება“-ს წინასწარმეტყველების მიხედვით მოიაზრება „ქრისტეს მოსლვითგან“ რაღაც განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.

სიტყვაში „დღესამომდე“ მეცნიერები აიგივებენ სიტყვასთან „იმ დღემდე“. ამ სიტყვას შემდეგნაირად ვხედავ: სიტყვაში – „დღეს-ამო-მდე“, „დღე“ არის ნათელი-მზე. უძველეს დროში სინათლის და მზის ნაცვლად იხმარებოდა „დღე“. „ამო“ – ამოსვლა, მზის ამოსვლა, ხელმეორედ ამოსვლა, მეორედ მოსვლაზე – „აღდგომაზე“ მიგვანიშნებს. მთლიანად სიტყვაში „დღესამომდე“ ჩადებულია კიდევ ერთი მინიშნება, თუ ვის მოსვლას უნდა ველოდეთ. უნდა ველოდეთ „მზის მეორედ მოსვლას“, „აღდგომას“, ხვთისმშობლის მობრძანებას, ვინაიდან, ქართველებთან მზე მდებარია – ქალია

(ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

„ო“ უფალი – მზე, რომლის „მეორედ მოსვლის“ წინასწარმეტყველება ორჯერ არის წარმოჩინებული „ქება“-ს ტექსტში, უძველესი ტრადიციების და რწმენის მიხედვით უნდა „აღდგეს“ – მეორედ მოვიდეს „გარდაცვალებიდან მესამე დილას“. „ქება“-ს წინასწარმეტყველება მოგვანიშნებს: „ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“. ქრისტე განკაცებული სახით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მობრძანდა, რის შემდეგაც გავიდა 2000 წელი. „ათასის ვითარცა ერთის“ გათვალისწინებით უფლის მობრძანება უნდა მოხდეს 2000 წლის შემდეგ, მესამე ათასწლეულის დასაწყისში.

ქრისტეს ამქვეყნად მობრძანება მიჩნეულია ნულოვან წლად და იქცა ახ.წ. დასაწყისად. ამავე დროს „ქება“-ს წინასწარმეტყველებით ეს წელი არის ის საწყისი, საიდანაც უნდა ავითვალთ 2000 წელი, ხოლო III ათასწლეულის დასაწყისი იქნება ხვთისმშობლის „მეორედ მოსვლის“, „აღდგომის“ მიმანიშნებელი, როცა იგი გაბრიელ მთავარანგელოზის „პირით“ ისაუბრებს ხალხთან. ვფიქრობ, **სწორედ ამაშია ის „საიდუმლო“, თუ რატომ მიიჩნეოს ადამიდან 6000 წელი ნულოვან წლად** და რატომ დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა. ჩვენ სწორედ ახლა ვიმყოფებით ამ პერიოდში. ახლა უნდა მოხდეს „ქება“-ს წინასწარმეტყველების ახსნა და ქართული ენის და ქართული ანბანის „გაცოცხლება“.

მაშასადამე: **„94 შმატსს სხუათა ენათა“ და „ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“, ორივე შამთხვევაში „ო“-უფალი-მზე-იპერიის ხვთისმშობელი მობრძანდება „ქება“-ს წინასწარმეტყველების მიხედვით ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში და გაბრიელ მთავარანგელოზის „პირით“ ისაუბრებს ხალხთან.**

მთავარანგელოზი გაბრიელი კურთხეულია, ხელდასმულია უზენაესისგან, ის მატერიის სიმბოლოა, „ზეცი-

ური ქალწულია“, სამყაროული სულია. მასში ორმაგი ბუნებაა და გააზრებულია მზის ძალთა ორი ურთიერთსაპირისპირისპირო პოლუსი (იანუსია). იგი არის სამყაროს დედის და ქალური ნაყოფიერების სიმბოლო.

[10] „ღა ესე რომელი, ჟერილ არს მოწამელ წარმოთხარ ახი ესე ჟელი ანბანისაღ“.

„ქებაღ“-ს ტექსტის ეს ნაწილი ჩემს აზროვნებაში შემდეგნაირად წარმოჩინდება: „ქებაღ“-ს ტექსტში მონათხრობი ამბავი წინასწარმეტყველებისა, რომელიც არის მართალი და ჭეშმარიტი, ეხება „მზე“-ს, ქართული ანბანის 19-რ-რადე-100 ასო-ნიშანს. მსოფლიოში დღეისთვის ცნობილ ანბანთა შორის მხოლოდ ქართულშია 19-ე ასო-ნიშანი „რ-რადე“, ხოლო კაბალას ცოდნაში 19-ე საიდუმლოს სახელია – „მზე“.

ქართული ანბანის განხილვისას ოთხი - 4 - 9 - 19 - 22 ასო-ნიშანი აღიარებულია „მზედ“. ვფიქრობ, ეს სამყაროს ოთხ საწყისს უკავშირდება. აქ კი პირდაპირ მიგვანიშნებენ 19-რ-რადე-100 ასო-ნიშანზე. ქართველთა აზროვნებით „მზე“ არის „მეფე გვირგვინოსანი, ხელში უკავია საწვავი უინჯლილი“. ძველ ქართულ აზროვნებაში „მზე“ ყოველთვის იყო მდებარეობითი ხეთაება, სამყაროს დიდი დედა, მშობელი ყოველისა.

შემერების მითოლოგიით სამყაროს დიდი დედა არის ხეთისმშობელი, ყველა ღმერთთა მშობელი დედა ქალღმერთი. შემერთა „მე“-ს ხეთაებრივი კანონებით 19-ე არის „გირბადარა“, „სამეფო ხელისუფლება“. ჩემს აზროვნებაში სიტყვა „გირბადარა“ შემდეგნაირად წარმოჩინდება: „გირგირუ“ არის ცეცხლის, ნაყოფიერების, ჭეჭა-ქუხილის ღმერთი; „ბადა“ - ასოცირდება სიტყვასთან დაბადება, დამბადებელი; „რა“ – შუამდინარეთის და ეგვიპტის მითოლოგიით არის „მზე“. ე.ი. სიტყვა „გირბადარა“ არის „მზე, დამბადებელი ყოველისა“.

ეგვიპტის ტაროს არკანებით **19-ე** „საიდუმლოს“ სახელია – **მზე**, ღმერთი, მკვრობელი სამყაროული ცეცხლისა, სინათლე ჭეშმარიტებისა. იგივე ბერძენთა ჰელიოსი – მზის ღმერთი, იგივე ჰერა, ათენა, ჰეკატე, დედოფალი ჰელენი, იგივე ხვთისმშობელი, სამი მზის ქალღმერთია.

მაშასადამე: ქართულ, შუმერულ, ძველ ეგვიპტურ, ბერძნულ და სხვათა წყაროებზე დაყრდნობით 19-რ-რაც-100 არის „მზე“ („ოქროს საწმისი“ – ეს სხვა საუბრის თემაა), დამბადებელი ყოვლისა, ყველგან მყოფია და ყველაფერი მასშია. იგი სამყაროს დიდი დედა, ხვთისმშობელი, სამი მზის ქალღმერთია. **ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, რომელსაც შეესაბამება ქართული ასომთავრული ანბანის 3-ჰაე-9000 კოსმიური ათასწლეულის პერიოდი, უნდა ველოდეთ ხვთისმშობლის მეორედ მოსვლას და ორსახა ღმერთთან – „იანუსთან“ ერთად მზის მზის სამებას. „რა“-ს სხეული „მზის დისკოა“, იგივე „ათონი“, „იგივე „შუ“ – ქალღმერთი ინანა, დედა ქალღმერთი – ერთიანი ღმერთის სიმბოლო.**

ჩემს ხილვებში ახ.წ. III ათასწლეულის არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის შესაბამისი კოსმიური სურათი ასახვას VII ცისა, ერთი შეხედვით წმიდა გიორგის ხატია, ცხენის ფეხებთან გველ-თევზი აღარ არის აქტიური და პირზე „კლიტე ადევს“, ადამიანები პირდაპირ გოგირდის და ცეცხლის ტბაზე გაველით მიემართებიან სიცოცხლის ხისკენ, რომელსაც იცავეს ორი ლომი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **ღმერთთა სამყოფელში მამის მარჯვნივ ძრისტუმს ალბილს იბავებს იბერიის ხვთისმშობელი.** მაშასადამე: **ახ.წ. III ათასწლეული არის VII ცის სუფივა – ღმერთის VII გეგლის შესაბამისი კოსმიური პერიოდის ათასწლეული.**

„ქება“-ს წინასწარმეტყველების რწმენა ქართულ აზროვნებაში უძველესი წარმართობის პერიოდიდან არსებობს. ამის დასტურია სევანეთში „ახალ კპირად“ წოდებუ-

ლი დღესასწაული, რომელიც **აღდგომის პირველ კვირას იცინან – კვირაცხოვლობა**. ამ დღესასწაულს სამლოცველო „ლამზირში“ აღნიშნავენ. წარმართული რწმენის თანახმად „მიწის სალოცავი“ (ადგილის დედა) მდებარებითი სქესის ნაყოფიერების მფარველი ხვთაებაა, წარმოდგენილია დედამიწის სახით. ქრისტიანულ პერიოდში „ხვთისმშობლად არის მიჩნეული“. ამას ისიც გვიდასტურებს, რომ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ჯვარდაწერილ დედაკაცებს შეუძლიათ.

„კვირია“ იგივე „ქრისტეა“. „ქებად“-ს წინასწარმეტყველებით კი, „ახალ კვირაში“ ახალი „კვირია“ – ხვთისმშობელი მოიაზრება.

„ქებად“-ს „საბალობელის“ წინასწარმეტყველებით ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში მოხდა ანდრია დიდი, სიმეონ დიდი, სამყაროს დიდი დედა – ხვთისმშობელი, რომელიც არის „მზა“, დამბადებელი ყოვლისა, ძმის მზის სამებას, ბაატოცხლებს ქართულ ანბანს, „ქართულ ბენს“, რომლის მფლობელიც უშუალოდ თვითონ არის, წარმოაჩინა ანბანის ყველა საიდუმლოს რაც მომავალში – ახ.წ. 4000 წელს სამყაროს ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლის საფუძველი გახდება.

აქვე აუცილებელია ავღნიშნო ის სასწაულებრივი ფაქტი, რომ ჩემს ოჯახში დაახლოებით 2000 წლიდან გადაღებულ ფოტოებზე პერიოდულად აისახება თვალისთვის უხილავი დიდი მანათობელი დისკო, რომლებიც შეძლებისდაგვარად იქნა შესწავლილი და გამოქვეყნებული. ფოტოსურათებზე აღბეჭდილი დისკო ვიხილე ჩემი გულის ადგილას, რომელიც „მზედ“ გარდაისახა.

„მზის“ დისკო არის შუშერთა „ენლილი“, ეგვიპტელთა „რა“, „ათონი“, „ონი“, „მუ“. ქართველებთან სულეთის ღმერთის სახელითაა ცნობილი. მითოლოგიაში ცნობილია „ქალღმერთ ვენერას დისკო“. სამი ასეთი დისკოს მფლობელი არის ქალღმერთი ინანა, ვენერა, აფროდიტა. ისინი

აღწერილია ეგვიპტელთა ტაროს III არკანში, რომელსაც შეესაბამება გ-გან-3 ასო-ნიშანი. ვფიქრობ, ეს მანათობელი დისკოები უშუალო კავშირშია „ქება“-ს ტექსტში აღწერილ წინასწარმეტყველებასთან. უშუალოდ მათგან ვღებულობ იმ ინფორმაციას, რასაც ვწერ და ვაქვეყნებ. სწორედ მათი დახმარებით დმერთმა იწება „ქება“-ს ტექსტზე მემუშავა და თქვენს წინაშე წარმომეჩინა მასში ჩადებული წინასწარმეტყველების საიდუმლო.

მითოლოგიაში ცნობილია „ქალღმერთ ვენერას დისკო“.

იყო ღმრთ, რომცა ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა და ერთ ღმერთს – სამყაროს დედას ერთ ენაზე აღიღებდა. ხვთისმყოფლის „მეორედ“ მობრძანება, მისი „აღდგომა“ რაც საფუძველი გახდება იმისა, რომ სამყაროში შეიქმნება ახალი კოსმიური ენობრება, საფუძველი გახდება ახალი ჰარმონიული აზროვნების. სამყაროს დიდი დედა – იბერიის ხვთისმყოფელი ერთი ენით ილაპარაკებს თავის შვილებთან, დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანთან. ეს იქნება ქართული ენა, ენა სამყაროს პირველქმნილი სულისა. ყველა ერთ ენაზე აღაპარაკდება. დედამიწაზე იქნება დიდი თანხმობა და სიყვარული. ვეფხადრთ მის შესახებდრად, შევიცნოთ იბი, მივიღოთ და დავამკვიდროთ ყველა ოჯახში სამყაროს დიდი დედა, უფალი, დედოფალი ცისა და მიწის, სიბოლო ერთიანი ღმერთისა.

„ქება“-ს წინასწარმეტყველება ასახავს იმ კოსმიურ პროცესს, რაც დღეს ხდება დედამიწაზე.

2000 წლიდან დედამიწაზე დადგა სამყაროს IV საწყისის ცა-ცეცხლის სტიქიის, „ოქროს საწმისის“, კოსმიური „და-ძმის“ - „ორი მზის“ ათასწლეული; დედამიწის შინაგანი ენერგია – „მზე შინა და მზე გარეთა“ ერთიანდება. ცა-ცეცხლის სტიქიის ენერგიამ გამოიწვია დედამიწაზე პოლუსების დნობა, პოლუსების შეცვლა, პოლუსები კარ-

გავს პოლარობას; ამან გამოიწვია წყალდიდობები, ვულკანური ამოფრქვევები, მიწისძვრები და სხვა. დედამიწა ემზადება დიდი „განწყმენდისთვის“.

იმისათვის, რომ მიმდინარე კოსმიური პროცესები დედამიწაზე არ განვითარდეს დიდი კატასტროფების ფონზე, მსოფლიო საზოგადოება უნდა დაუბრუნდეს პირველსაწყის ცნობიერებას ქართული ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის შეცნობის გზით, შეიმეცნოს თავისი თავი, საკუთარი „მე“, გახდეს პირველსაწყისი „ადამი-ანი“, რაც განაპირობებს ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ეს უნდა კოსმოსს. დედამიწა ემზადება ადამის ცივილიზაციიდან ახალ ცივილიზაციაში გადასვლისთვის.

„ქებაჲ-ს“ საგალობელის ტექსტზე მუშაობისას ჩემი გამოკვლევები ეფუძნება ძირითადად ჩინეთის, ეგვიპტის, შუამდინარეთის და სხვა ცივილიზაციის ხალხთა, ასევე ქართულ მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიას. ეს გვაძლევს საფუძველს ვაღიაროთ, რომ „ქება ო-ს“ საგალობელი არის სამართავორისო მნიშვნელობის წინასწარ-მეტყველება.



სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს

„ქებად“-ს ტექსტის წინასწარმეტყველებაში სამი ძირითადი საკითხია წარმოჩინებული: ვინ მოდის?! როდის მოდის?! რა მიზნით მოდის?!

„ქებად“-ს „საგალობლის“ ტექსტზე მუშაობისას მნიშვნელოვანი იყო ქართული მითოლოგია და ქართული უძველესი ტრადიციები, ასევე შუამდინარეთის, ეგვიპტის, ჩინეთის და სხვათა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია.

„ქებად“-ს საგალობლის ტექსტი ძირითადად წინასწარმეტყველებაა იმისა, რომ მობრძანდება „**ო**“ უფალი, რომელმაც უნდა „გააცოცხლოს ქართული გენი, ქართული ენა და ანბანი“, წარმოაჩინოს მათი ჭეშმარიტი არსი.

ქართული ენის და ანბანის გაცოცხლება უშუალოდ „**ო**“ – უფლის წილხვედრია. იგი არის „ოთხი დღის მკუდარი – მძინარი“, ნაყოფიერების და ჭექა-ქუხილის ქალღმერთი, დედოფალი „ლაზარე“, ამავე დროს „ელვად“-მზე, ერთ-ერთი „**ღა**“ – დედოფალი (სამყაროს ოთხი საწყისი – ოთხი „**ღა**“) თავისივე სურვილით ჩასული ქვესკნელის სამეფოში, რათა გახდეს აგრეთვე დედოფალი მიწისაც – ქვესკნელისაც; ამ ქვეყანაზე მოდის განძარცვული, დამცირებული, დაწუნებული, დავიწყებული აქვს წარსული, თან მოაქვს მხოლოდ „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“, რომელიც ამავე დროს „ბედისწერის დაფება“, „ციური მადლნი“ და რომელიც ასევე არის ქართული ანბანი. თითოეული ასო-ნიშანი არის დახურული ტაძრის გასადები, რომელთა მფლობელიც არის თვით „**ო**“ – უფალი ღმერთი, ქალღმერთი ცისა და მიწის. მისი „მეორედ მოსლვის“, ანუ „ადღომის“ პერიოდის მიმანიშნებელია – „**94**“ უმეტეს სხუათა ენათა“ და „ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამოდე“, რაც ახ.წ. დასაწყისიდან 2000 წლის დასასრულზე

და III ათასწლეულის დასაწყისზე მიგვანიშნებს. მაშასადამე, ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში მოხდება „სულიწმიდის“ მიწიერი გაცხადება, რომელიც არის მომცემელი ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნის და ამავე დროს ცოდვათაგან განწმენდის მადლისა. სულიწმიდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ არის გაბრიელ მთავარანგელოზი“. უძველეს ხანაში ანგელოზებს სქესით გამოსახავდნენ და დავათის სტელაზე გამოსახული მთავარანგელოზი გაბრიელი ქალია. „სულიწმიდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და ამავე დროს უნდა მოჰმადლოს რჩეულებს საღვთო სიბრძნე“. მთავარანგელოზთა შორის მას წლის პირველი თვე – იანვარი მიეკუთვნება, რომელიც ორსახაღმერთის, იანუსის სახელს ატარებს.

შუამდინარეთის ძვ.წ. III ათასწლეულის ქვის ბეჭდის მიხედვით „იანუსი“ არის IV „განათლული“ და მისი მობრძანება მინიშნებულია ახ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში. „**ო**“ უფალი იანუსთან ერთად ქმნის მზის სამებას. როდესაც ამ საკითხს ვეხები, აუცილებლად მაგონდება ჩემი პირველი ხილვა (შესავალი ნაწილი).

„**ო**“ უფალი, რომელმაც „ქებაა“-ს წინასწარმეტყველებით უნდა გააცოცხლოს ქართული გენი, ქართული ენა და ანბანი, არის იგივე იბერიის ხვთისმშობელი, შუმერების ქალღმერთი ინანა, იშთარი, ვენერა, აფროდიტა, ცისკრის და მწუხრის ვარსკვლავი, მთიები, იზიდა, ქართველთა დაღდელოვანი, ყველა მხარის ქალბატონი, ცასა და მიწას შორის მდგომი, ჭექა-ქუხილისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, მიწის შემქმნელ-მომწესრიგებელი, სიბრძნის ხვთაება, ხელოვნების, კანონმდებლობის, დამწერლობის ქალღმერთი. მისი ბუნება შემდგენიერად ხასიათდება: „ბრწყინვალე, უძვირფასესი ქალბატონი, წყალობა და დელობა, თვითონ ის არის დიდი დედა, ოქროს ქალღმერთი, „ან“-თან ერთად ზის უზენაეს ტახტზე. „იანუსთან“ ერთად ქმნის მზის სამებას.

იყო ღრო, როცა ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობ-

და, იყო ერთი პროგნოზის ხალხი და ერთ ღმერთს ერთ ენაზე აღიღებდა. ბაბილონის გოდოლის შემდეგ „მე“-ს , ანუ „პირველქმნილი სულის“ ენა დავიწყებას მიეცა და „არამს“ , ანუ „არამეული“ ენით დაიწყო მეტველება და დამწერლობა. ხოლო „მე“-ს ენა და დამწერლობა საიდუმლო გახდა, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ხელდასხმულთათვის, რათა „დრომდე“ არ მომხდარიყო ანბანის ჭეშმარიტი საიდუმლოს, ჭეშმარიტი ცოდნის წარმოჩინება, რადგანაც ის გამოიწვევდა „დროზე ადრე“ სამყაროს გენეტიკურ კოდში ჩარევას. ახლა, 2000 წლის ბოლოს დამთავრდა 9-9ან-8000 ასო-ნიშნის ათასწლეული ადამ და ევას კოსმიური ცივილიზაციის; დამთავრდა „ანუნაკთა“ პერიოდი. სწორედ ამან განაპირობა ანბანის საიდუმლოს გაცხადება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ დღემდე არსებული 14 ანბანიდან, მხოლოდ ქართული ანბანი ასახავს სამყაროს ადამ და ევას ცივილიზაციის გენეტიკურ კოდს. ეს ინფორმაცია აღარ უნდა იყოს საიდუმლო და პირიქით, სამყაროს შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელიცკია შევიცნოთ გენეტიკური კოდის ჭეშმარიტი არსი. ადამ და ევას ცივილიზაციის ბოლომდე დარჩა 2000 წელი.

ახ.წ. 4000 წელს სამყარო მიაღწევს ქართული ანბანის 37-ჭ-ოხ-10000 კოსმიურ პერიოდს, რის შემდეგაც იგი გადავა ცივილიზაციის ახალ საფეხურზე, რაც სულაც არ ნიშნავს სამყაროს დაღუპვას და ქაოსს, არამედ იქნება ახალი, ჰარმონიული ურთიერთობები. დღეისთვის ადამიანის ტვინის შესაძლებლობების ძალიან მცირე ნაწილია გამოყენებული – შეცნობილი. ის, რასაც ადამიანი დღეს უდიდესი ტექნიკის გამოყენებით და დიდი ძალისხმევით აკეთებს, მომავალში თვით ადამიანის შინაგანი ძალის გამოყენებით იქნება შესაძლებელი. მაგ. ადამიანს აღარ დაჭირდება ზამთარში გათბობა და ზაფხულში გაგრილება, ანუ გახდება თვითრეგულირებადი, არ დაჭირდება კომპიუტერი, გაზე-

თი, რადიო და ინფორმაციის სხვა საშუალებები, დაფიქრდება და მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციას. ყველასათვის ყველაფერი ცნობილი და ნათელი იქნება. ვფიქრობ, ამის მაგალითია ჩემს მიერ წლების მანძილზე ჩატარებული ადამიანის დიაგნოსტიკის მეთოდი – დაავადებული უჯრედებიდან მხოლოდ ქართულ ენაზე დასმულ კითხვაზე ვრეზულობ უჯრედებიდან პასუხს ელექტრო-მაგნიტური იმპულსების სახით, რომელიც მორზეს ანბანის მსგავსია და ოთახში მყოფ ავადმყოფსაც და მის ახლობლებსაც ესმით. ეს იმპულსები ინფორმაციის შემცველია. ზღვებში და ოკეანეებში თევზები ათას კილომეტრებზე გადასცემენ ინფორმაციას ელექტრო-მაგნიტური იმპულსების გამოყენებით. საინტერესოა, როგორ აგნებენ თავის ძველ ბუდეს თბილი ქვეყნებიდან უკან დაბრუნებული ჩიტები. თვით ჩვენს მზის სისტემასა და გალაქტიკაში არსებული დიდი კანონზომიერების საფუძველი, ვფიქრობ, მათ შორის ინფორმაციის არსებობაა. სამყაროში ყველას და ყველაფერს შეუძლია ინფორმაციის მიღება, შენახვა და გაცემა. ადამიანებისთვის დღეს ცნობილი ინფორმაციის საშუალებების გარდა, არსებობს მრავალი საშუალება ინფორმაციის მიღებისა, რომელიც მომავალში იქნება აღმოჩენილი. დენის აღმოჩენა, რადიოკავშირი, ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერიზაცია და სხვა სახეხეა, რომ სამყაროს ცივილიზაციის გზა უსასრულოა.

ადამიანი შეძლებს საკუთარი ენერჯის გამოყენებით კოსმოსში გადაადგილებას, შეძლებს მიანიჭოს უწონადობის მდგომარეობა საკუთარ სხეულს და საგნებს, ნებისმიერ ადგილზე გაჩნდეს და გაქრეს, არ იქნება საჭირო საკვები, რადგანაც მისი საკვები კოსმოსური ენერჯია იქნება. ასეთ კოსმიურ პერიოდში ალბათ დედამიწაზე სხვა ღირებულებები იქნება. დღეს მეცნიერება მუშაობს იმაზე, რომ შიმეცნოს ჩვენს გვერდით არსებული პარალელური სამყარო.

სამყაროში ყველაფერი ცივილიზაციის რაღაც საფე-

ხურზე იმყოფება. ვფიქრობ, ამის მაგალითია მზის და ვარსკვლავთ სისტემა. ჩემი აზრით, ყველა პლანეტა თუ ვარსკვლავი ცოცხალი ორგანიზმია და მათზე აუცილებლად არსებობს სიცოცხლე, მხოლოდ ჩვენთვის ეს ჯერჯერობით უცნობია და არ გვაქვს უფლება ეს გავაცნობიეროთ. ჩვენი თვალი ვერ აღიქვამს ჩვენს გვერდით არსებულ სამყაროს, არც ტექნიკა გვაქვს სათანადო დონის.

ცივილიზაციის ახალ საფეხურზე უნდა შეიქმნას ჰარმონიული ურთიერთობები. ამის უმნიშვნელო მაგალითია საბერძნეთში აგვისტოს თვეში ხვთისმშობლის ხატთან გველები მისვლა (6-16 აგვისტო). აგრესიული და შხამიანი გველები ამ პერიოდში გადაიქცევიან ჰარმონიულ და უსაფრთხო არსებებად. რა ხდება, რა ველი იქმნება ისეთი, რომელიც გველებზე მოქმედებს. ვფიქრობ, გველების ეს მოქმედება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჰარმონიულობის და სრული თანხმობის სიმბოლო სწორედაც იბერიის ხვთისმშობელია; იგი იქნება ჰარმონიული კოსმიური პერიოდის საწყისი, მასთანაა დაკავშირებული ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლა. ეს კი უშუალოდაა დაკავშირებული მის „მეორედ მოსლვასთან“, „ადდგომასთან“. იგი გაცოცხლებს ქართულ ენას, წარმოაჩინს ქართული ანბანის კოსმიურობას, რაც საფუძველს შეუქმნის სამყაროს ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლას. ქართული ანბანი არის სამყაროს გენეტიკური კოდი. სამყაროში ყველა და ყველაფერი ემორჩილება გენეტიკურ კოდს. ამაშია ქართული ანბანის საიდუმლო, რომლის წარმოჩინებაც გახდება საფუძველი სამყაროს შემდგომი ცივილიზაციისა.

ქართული ხალხის უძველეს ცივილიზაციაზე მიზანიშნებს ბევრი რამ მათი ყოფაცხოვრებიდან:

ქართულთა ნაციონალური ტანსაცმელი, მათზე სარტყელი – ნაყოფიერების ღმერთის სიმბოლო, ლეჩაქი და „კავები ჩიხტიკოპით“ – ქაღალდმერთ ინანას გამოსახულებებზე არის „თმის კავები“, თვით მეფეთა ტანსაცმელი, მათზე

ძვირფასი ქვეებით ასახვას მცხეთის ზოდიაქოს კალენდრის, სადაც „გენეტიკური ორი სპირალი“ მოიაზრება და ამავე დროს ასახვას დავათის სტელაზე გამოსახული ქართული ანბანისა. სახლებში დედაბოძი და მასზე გამოსახული ორნამენტები, სახლის წინ ნაძვის, ფიჭვის ან მუხის ხის დარგვა, მიცვალებულის კუბოში დაკრძალვა იგივე კიდობნის გააზრებაა. მიცვალებულის დაკრძალვის წესი, ყვავილები, მუსიკა, პურმარილი, თამადა, სადღეგრძელოები – იგივე „ზეიმის“ გამომხატველია, მიაჩნდათ, რომ იმქვეყნიური ცხოვრება არის „სასუფეველი ცათა“. ქართველი ხალხის უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს აგრეთვე წმიდა მთის სახელის მინიჭება და მის ირგვლივ ქალაქის აშენება, ჯვარი, ორი ლომი და სიცოცხლის ხე, წმიდა გიორგის – ცხენზე მხედრის გამოსახულება რიტუალურ ცულებზე, ქართველები ხვთაებრივ ბავშვს მხრებზე დაყრილი ლოკონებით გამოსახავდნენ და სხვა. შუმერებთან გვარების ადგილზე ადამიანებს ენიჭებოდათ „ამა თუ იმ ქალაქის შვილი“. ასევე ქართველებს ვიდაცის „შვილი“ ან „ძე“ გვიწერია. ქართველი ხალხის უძველეს ცივილიზაციებთან პარალელებზე საუბარი ძალიან შორს წავგიყვანს.

ქართველთა უძველეს ცივილიზაციაზე მიგვანიშნებს არა ერთი ქართული სიტყვა:

„პაპა“ ნიშნავს „ღმერთის ნაცვალს დედამიწაზე“. იგი მსოფლიოში არსებული უძველესი სიტყვაა, რომელშიც „პირველსაწყისი“, „პირველქმნილი“, „დიდი წინაპრის“ მნიშვნელობა მოიაზრება, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ ქართული ენა უძველესი ცივილიზაციის ენაა. შუმერული სიტყვა „მე“, რომლის მნიშვნელობა მსოფლიოში უცნობია, მხოლოდ ქართულმა იცის, რომ სიტყვა „მე“ არის „სამყაროული მე“ და მიგვანიშნებს ადამიანის პიროვნულობაზე, როგორც ცალკე სამყაროზე. ევროპელთა კაბალას – „რუნების“ მიხედვით პირველი საიდუმლოს სახელია „ადამიანი“, იგივე „მე“, რაც დაკავშირებულია ქართული ანბან-

ნის ა-ან ასო – ნიშნის კოსმიურობასთან. შუმერებთან „ან“-ცის ღმერთია, „ენ“-წყლის ღმერთი, რაც ქართული ასო-ნიშნების მეორადი სახელების მიმანიშნებელია. ამავე დროს მიგვანიშნებს ქართული ანბანის კოსმიურობის საიდუმლოზე, ანბანის უდიდეს როლზე სამყაროში. სიტყვა „ღა“-ს სამსახოვნება – დამაკავშირებელი აზრთა და სიტყვათა, „ღა“-დედმამისშვილი, ამავე დროს უძველეს ხელნაწერებში ყოველი ახალი აზრი „ღა“ სიტყვით იწყებოდა, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ „ღა“ საწყისია ყოველივე ახლისა. ეგვიპტეში ცნობილია ფარაონ ეხნატონის „ძის“ ქალაქი – „ონი“.

ქართულ დამწერლობაში ხუთი ხმოვანი:

- 1) „ა“ – „ან“ – 1 – უმაღლესი ხელისუფლება, ზეციური მამა, ღმერთი ამბობს „მე ვარ ანი და ოხი“.
- 2) „ე“ – „ენ“ – 5 – „ღმერთის ნაცვალი დედამიწაზე“ – პაპა, წყლის ღმერთი.
- 3) „ი“ – ინ – 10 – „მდებრი ძალა სამყაროს შემოქმედი, სიცოცხლის ძალთა მპყრობელი, ბედის ბორბალი, ზევსი – იუპიტერი, დღის სინათლის და ცის ღმერთი, ჭექა-ქუხილის ღმერთი, ღმერთთა მეფე“, „ქალბატონის მუდმივი ხელისუფლება“.
- 4) „ო“ – ონ – 16 – უფალი „ო“ ნომმო. „ქალღმერთ ინანას ქვესკნელის სამეფოში შთასვლა, „ბაბელონის გოდოლი“.
- 5) „უ“ – 22 – „წარღვნა“, შუმერების მზე „უთუ“ – „ქვესკნელის“ კარია.

ამ ასო-ნიშნების სახელი – „ხმოვნები“, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ისინი არიან სამყაროს მთავარი – ძირითადი შემოქმედნი, დანარჩენი ასო-ნიშნები არიან – თანხმოვნები. გენეტიკური ჯაჭვიდან არც ერთი ასო-ნიშნის ამოღება და გადანაცვლება არ შეიძლება. მნიშვნელოვანია ასევე ასო-ნიშნების მეორადი სახელები: ან, ბან, გან. . .

ქართული ენის და ანბანის შექმნება, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდისა, მომავლის საქმედ მიმაჩნია.

ქართული ენა არ არის ღაპირისპირებული სამეცნიერლო ენა, რაც გამოიხატება იმაში, რომ რასაც მეტყველებ, იმას წერ, ე.ი. როგორც გამოითქმება, ისე იწერება. ამასთან, არ არის მდედრის და მამრის განსხვავება (OH-OHA), ეს იმას ნიშნავს, რომ მასში არ არის „ინ“ და „ან“ ორი ორთიერთ საპირისპირო აზროვნება მდედრის და მამრის, ის არის საშუალო – არც მდედრია და არც მამრი; სწორედ ეს არის ის მთავარი მიმანიშნებელი შტრიხი, რომ ქართული ანბანი „ო“-უფლის ხეთისმშობლის კუთვნილებაა. ამის დასტურად მოგახსენებთ შემდეგს: სამყაროში ერთმა შექმნა ორი, ორმა სამი და სამმა ყველაფერი. ამ კანონს ექვემდებარება ქართული ანბანიც – „ან“-მა შექმნა „ბან“-ი, „ან“-მა და „ბან“-მა შექმნეს „გან“-ი, ხოლო სამივემ შექმნა ყველაფერი, ე.ი. სამების მესამე წევრი არის 3-გ-გან ასო-ნიშნის შესაბამისი კოსმიური სული, რომელიც ტაროს არკანებით არის „დედა ბუნება“, ვენერა, აფროდიტა, სიყვარულის ქალღმერთი, ზეციური დედოფალი, შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივი კანონებით“ – „ამაღლებული და მუდმივი გვირგვინი“. ეს არის იგივე შუმერების ქალღმერთი ინანა, „ო“-ნომო, „ო“-უფალი, იბერიის ხეთისმშობელი, მზე, ჭექა-ქუხილის და ნაყოფიერების ქალღმერთი, ქართული ანბანის მფლობელი. **ეს არის დედოფალი არც „ინ“ და არც „ან“, არამედ მათ შორის, „ო“-შუა, საშუალო რბოლი, რომელიც აერთებს „ინ“ და „ან“ ძალებს, მდედრს და მამრს, დედოფალი, როგორც მისი დედის შვილი, ამავე**

დროს თვითონ არის დიდი დედა, მამაკამ მასში აღარ არის კველი ხვთაების ბნელი შტრიხები, იგი ღია და



**„ინ“ და „ან“
(„ინ“ და „იან“)**

ბამჯვირგალა, მზად არის შექმნას რაღაც ახალი გარეგანის და შინაგანის **შეერთებით**. ეს არის მიწიერი დედობის და სიყვარულის გაცხადება. ზუსტად ამ აზროვნების ასახვაა „ინ“ და „ან“ ცნობილი ორი თევზის მსგავსი გამოსახულება ნათელი და ბნელი ძალებისა, სადაც მათ შორის გამყოფ „შუ“-ა ხაზში აღმოსავლური ფილოსოფიით მოიაზრება არსთა წრებრუნვის მარადიული პროცესის კოს-

მიური სურათი, რომელიც ჩემი გამოკვლევებით არის ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების შესაბამისი პროცესების კოსმიური მონაცვლეობა დროში. იგი ამავე დროს არის „ღმერთის ბეჭედი“ იოანეს გამოცხადებიდან.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, „ან“ ნათელსა და „ინ“ ბნელს შორის – შუაში დგას დედოფალი ინანა, რომელიც ამავე დროს არის ქართული ასომთავრული ანბანი.

საბოლოოდ მინდა ავღნიშნო, რომ ქართული ენა და ხალხი, რომელიც ამ ენაზე მეტყველებს და აზროვნებს, არ შეიძლება გენეტიკურად იყოს დაპირისპირებული – კონფლიქტური ბუნების, არამედ ის **ერთბუნებოვანია, საშუალო და ჰარმონიულია**. ქართული ბუნების ეს შტრიხი ძალიან მნიშვნელოვანია და მომავალში ქართული გენის, ქართველი ხალხის ეს ბუნება დიდ ზოგადსაკაცობრიო როლს შეასრულებს მომავალი ცივილიზაციის ახალ საფეხურზე.

„ქება“-ს ტექსტზე მუშაობისას არაერთხელ ავღნიშნე, რომ „ო“ ასო-ნიშანი არის ღერძი ანბანის, ანუ მთავარი ასო-ნიშანია, რომელზეც აგებულია მთლიანად ქართული

ანბანი. აქვე მინდა ვისაუბრო მეცნიერთა მიერ ადამიანში აღმოჩენილ ძირითადი სასიცოცხლო „პირველსაწყისი“ უჯრედების შესახებ, რომელიც არის ადამიანის ორგანიზმის ღერძული (СТВОЛОВЫЕ КЛЕТКИ) უჯრედები. ისინი უშუალოდ ადამიანის გენეტიკურ კოდთანაა დაკავშირებული. ვფიქრობ, ეს გენეტიკური ღერძული ძირითადი უჯრედები იგივე ქართული ანბანის „ო“ ასო-ნიშნის შესაბამისი კოსმიური ენერგიაა – შემოქმედი ყოვლისა, ძველ ქართულ ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ადგილას წერდნენ „ო“ ასო-ნიშანს. ქართული ანბანი როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყაროს გენეტიკური კოდია, ემორჩილება სამყაროში ყველა და ყველაფერი. ის ყველაფერშია და ყველაფერი მასშია. თუ ქართულ ანბანს და ქართულ ენას ამ კუთხით შეხედავენ მსოფლიოს მეცნიერები და არამეცნიერები, კაცობრიობა ახალი, დიდი აღმოჩენების წინაშე დადგება.

შეისწავლეთ ადამიანი, როგორც სამყარო და ნათელი გახდება, თუ რა არის „შავი ხვრელები“, რატომ აქვს კოსმოსს პულსაცია, რატომ ფართოვდება სამყარო, ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი; გალაქტიკა ხომ დიდი, მოწესრიგებული ორგანიზმია.

ადამიანის ასაკს დღეს ხალხთა უმეტესობა მისი ამქვეყნად მოვლინების დღიდან ითვლის. არის ხალხი, რომლებიც ადამიანთა დაბადების დღეს დედის მუცელში ჩასახვის დღიდან ითვლიან. იყო დრო, როცა ადამიანთა დაბადების დღეს ითვლიდნენ ადამ და ევადან და არა მარტო დაბადების დღეს.

ქართული, როგორც „ასომთავრული“, ასევე „მხედრული“ ანბანი კოსმიურად განუყოფელია და ავსებს ერთმანეთს. ეს მომავალი კვლევის საქმეა.

ასომთავრული ანბანი ერთადერთია, რომელიც ასახავს სამყაროს გენეტიკურ კოდს და ფუნქტად და ფუნქციონით ერთხვევა კაბალას – უძველეს საიდუმლო ცოდნას ანბანის შესახებ. მხედრული ანბანი ასევე უშუალოდაა

დაკავშირებული წმიდა გიორგისთან – კოსმიური წრებრუნვის სურათში ისინი მხედარს შუბლზე აწერია. მსოფლიოში ცნობილია ცხენზე მჯდომი ღმერთი **ტანზრი**, რომელიც ცხოვრობს 33 ცაზე (ქართული მხედრული ანბანი 33 ასო-ნიშნისაგან შედგება); ამავე დროს არის „დარხან-გუჯირ-ტენგრი“, ღმერთი მჭედელი. თვით ტიბეტის სახელი „ტენგრი“-დან წარმოდგება.

ქართული ანო-ნიშნებია ჩინეთის „ი-ძინი“-ს ჰექსაგრამების შესაბამის იეროგლიფებში, სამხრეთ ამერიკის საპოტეკების ღმერთის გამოსაულებებზე. ქართული ანო-ნიშნების კვალი ყველა ძველი ცივილიზაციის ხალხთან წარმოჩინდება. ქართული გიგანტური სიდიდის ანო-ნიშნებია გამოსახული დავითგარეჯის ერთ-ერთ კლდეზე, რომელიც ჩემი გამოკვლევებით, 8000 წელზე ადრეულია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქართველები ჯერ კიდევ 8000 წლის წინ, ე.ი. ადამის ცივილიზაციამდეც ცხოვრობდნენ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველები იბერიის და ხეთების ცივილიზაციის ნაწილი ვართ. ამის დასტურია ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეს დავარქვით **კა-ხეთი**, **კუ-ხეთი**, **მეს-ხეთი**, **ჯავა-ხეთი**, **კოლ-ხეთი** და დედაქალაქსაც ვუწოდეთ **მც-ხეთა**“, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ეწოდებოდა „**იპერია**“.

ქართველებმა, ჯერ კიდევ 8000 წლის წინ, დავიწყეთ წელთაღრიცხვა „ქართულ ადამს აქათ“ და „დასაბამით-გან“ - წარდგინდნენ. წელთაღრიცხვას ვერ დაიწყებდა ხალხი, რომელიც პირველყოფილივით ტყეში დარბოდა საკვების მოსაპოვებლად.

ქართული ცივილიზაციის ფესვები მსოფლიო ისტორიის ათასწლეულების სიღრმეებში მიდის. იბერიულ-ქართულ-ხეთური ცივილიზაციის კვალი ბიბლიაში მრავლადაა. დადგადრო, დავაფუძნოთ ტერმინი „**იპერულ-ქართულ-ხეთური**“ ცივილიზაცია.

აუცილებელია შეიქმნას „იბერიულ-ქართულ-ხეთური

ცივილიზაციის საერთაშორისო კვლევის ცენტრი“. აქვე განთავსდება „ქართული ანბანის მუზეუმი“, სადაც წარმოჩინდება ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი; ასევე კაბალას ცოდნის პარალელები ქართულ ანბანთან, რომელიც მოიცავს ჩინეთის „ი-ძინ“-ს, ეგვიპტის „ტაროს არკანები, შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივ კანონები“ და ევროპელთა „რუნების“ საიდუმლო კოსმიურ ცოდნას ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე. ეს არის პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს შესახებ მოტანილი დღემდე პირველსაწყისი ცნობიერებით.

მსოფლოდ ქართული ანბანი არის ის ჭეშმარიტი ბენედიკტური კოდი სამყაროს ცივილიზაციისა, რომელსაც ადამ და ევას ცივილიზაცია ჰქვია.

„მე“-ს , ანუ ადამიანის ჭეშმარიტი სულიერი ენა არის ქართული ენა. ეს არის ენა ქვეცნობიერისა, აზროვნებისა. მსოფლიოს ხალხი უნდა დაუბრუნდეს ამ ენას და ამ დამწერლობას, მაგრამ არა იძულებით, არამედ ნებით. მსოფლიოს უძველეს არქეოლოგიურ მონაპოვრებზე, ღმერთების გამოსახულებებზე, პირამიდების და აკლდამების ნახატებზე, კედლებზე ფარაონთა სამარხებში, მსოფლიოს სხვადასხვა სამუზეუმო ექსპონატებზე გამოსახულია ქართული ასო-ნიშნები. მე ვხედავ ამას და ვეცდები ჩემი ცხოვრების დარჩენილი წლები მოვახმარო იმ საქმეს, რომ მოვიძიო მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის ხალხებთან ეს მასალები, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ ერთ დროს არსებობდა ერთი ენა და ერთი ანბანი და ეს იყო ქართული ენა და ქართული ანბანი. მსოფლიოს ხალხთა სამეტყველო ენაში მრავლადაა უძველესი ცივილიზაციის სამეტყველო ქართული ენის კვალი.

სამყარომ უნდა მიიღოს ის კოსმიური მდგომარეობა, როცა ყველა და ყველაფერი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. მსოფლიოს ყველა ხალხი ერთ კოსმიურ ნავში ვზივართ

და ვმოგზაურობთ. ყველა ადამიანი ერთი გენეტიკური კოდითაა შექმნილი, ერთ სახელში ვცხოვრობთ, ერთი ზეციური დედის და მამის შვილები ვართ, ერთი დედა გვზრდის და გვმფარველობს. ეს არის ჩვენი დედამიწა. მოვა დრო, როცა ყველა კვლავ ერთ ენაზე ილაპარაკებს.

ამ ენაზე უნდა ესაუბროს თავის შვილებს იბერიის ხვთისმშობლი – დედა ყოველი არსისა. იგი ყველას და ყველაფერს ამ ენით ესაუბრება. ამას კაცობრიობა, მთელი სამყარო გააცნობიერებს. დამკვიდრდება უდიდესი ჰარმონია და თანხმობა. ქართული ენა არის აზროვნების ენა. აღარ იქნება საჭირო დამწერლობა, განათლება, ცოდნა – ყველას ყველაფერი ეცოდინება. ადამიანების როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური შესაძლებლობები იქნება უსაზღვრო. ადამიანი დაიწყებს კოსმოსში გადაადგილებას აზრის გავრცელების სიჩქარით და მხედველობითი აღქმის სიჩქარით. იქნება უსიტყვო საუბარი ადამიანებს შორის, წაიკითხავენ ერთმანეთის აზრებს, აღარ იქნება ტყუილი და აღარ ექნებათ დანაშაულის ჩადენის მიზეზი, ყველაფერი ექნებათ, რასაც მოისურვებენ. ხალხი იქნება ზემადალი მორალური და ზნეობრივი დონის. მათ შორის იქნება უდიდესი ჰარმონია და თანხმობა. თავს იჩენს ახალი, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ურთიერთობები, რომელიც დამახასიათებელი იქნება ახალი ცივილიზაციისათვის. სამყაროს ცივილიზაციის გზა უსასრულოა.

ახ. წ. III ათასწლეული არის VII ცის სუფიზა, ღმერთის VII ბუჯის, 36-ჰჰაე-9000 ასო-ნიშნის შმსაბამისი კოსმიური პერიოდის ათასწლეული, სადაც ღმერთთა სამყოფელში მამის მარჯვნივ შრისტუს ალბილს იკავებს იპერიის ხვთისმშობელი, ხოლო ხვთაუბრივი ბავშვი ბანთაშმუზულია დედის ბუჯის ალბილას.

სამყაროს დედის სახელით იბერიის ხვთისმშობლის ხატის მიმართ თაყვანისცემა ყველა რელიგიაშია, ვინაიდან ჩვენი დედა – სამშობლო დედამიწაა, ყველა ხალხს ერთ-

ნაირად დაჰყურებს მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

ქართული ენა და ქართული ანბანი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. ეს ის ენაა, რომელზეც ხალხი „ბაბილონის გოდოლამდე“ ერთ ენაზე ლაპარაკობდა. იბერიის ხვთისმშობელი არის ფუძე ყველა რელიგიისა. თვით მასშია ქართული ენა და ქართული ანბანი. როგორც მიკრო, ასევე მაკრო სამყროს გენეტიკური კოდი ქართული ანბანია. იგი ყველგან მყოფია და ყველაფერი მასშია. ქართული ენა არის ენა ქვეცნობიერისა, ენა აზროვნებისა, ენა გალაქტიკასთან საუბრისა. ეს არის ენა ყოველი არსისა. ეს არის სამყაროს დედის ენა. „სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს“ – ვანვა.

„სინურ მრავალთავში“ იოვანე-ზოსიმე შეგვასხენებს: „მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) ბანიკითხავს და ამხილებს მსოფლიოს“.



შ ი ნ ა ა რ ს ი

ცოტა რამ ჩემს შესახებ3

„შესხმაღ ქართველთაღ და
ქართველთა ენისაღ“8

სამყარო ქართულ ენაზე
ლაპარაკობს62

ნ ა ზ ი ს ა ნ ი ა შ შ ი ლ ი

ტელ: 36-10-17

მობ: 858-255-297